www.24saati.ge

# 24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 9 ნოემბერი, 2013 წელი. | №3404 (211) | ფასი 50 თეთრი

## მთავარი პროკურორი ფინანსთა სამინისტროდან

ახალი კონსტიტუციით დადგენილი წესების მიხედვით, ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების მომენტიდან მთავრობა უფლებამოსილებას არა პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე მოიხსნის.

ახალი კონსტიტუციის თანახმად, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატ ირაკლი ღარიბაშვილს არა პრეზიდენტი, არამედ პარლამენტში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტი წარადგენს. მთავრობის ფორმიერების ახალი კონსტიტუციური პროცედურების გათვალისწინებით, პრეზიდენტმა, მთავრობის უფლებამოსილების მოხსნიდან შვიდი დღის ვადაში, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მისთვის წარდგენილი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურა უნდა წამოაყენოს. თავის მხრივ, პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი შვიდი დღის ვადაში არჩევს მინისტრთა კანდიდატურებს და ნდობის მისაღებად, სამთავრობო პროგრამასთან ერთად, პარლამენტს წარუდგენს. პარლამენტსაც შვიდდღიანი ვადა აქვს მთავრობის ფორმირებისთვის.

მმართველი გუნდი ახალი მთავრობის დამტკიცებას პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდგომ კვირაში გეგმავს და ამ მიზნით პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევას აპირებს.

**„ვაპირებთ, ინაუგურაციის შემდგომ კვირაში, რომელიც სასესიო კვირა არ არის, რიგგარეშე სხდომა მოვიწვიოთ და ახალი მთავრობა - პრემიერ ღარიბაშვილის მთავრობა დავამტკიცოთ, რათა ვილნიუსის სამიტზე საქართველო, პრეზიდენტთან ერთად, დამტკიცებულმა პრემიერ-მინისტრმა და მთავრობამ წარმოადგინოს,“** - განაცხადა უშიშროების საბჭოს მომავალმა გენერალურმა მდივანმა ირინა იმერლიშვილმა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## ვანო მერაბიშვილი: „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია, წავიდეს“

ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ვანო მერაბიშვილის და ზურაბ ჭიაბერაშვილის წინააღმდეგ საქმის განხილვა გრძელდება. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილსა და კახეთის გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში ე.წ. დასაქმების პროგრამის ფარგლებში ამომრჩევლის მოსყიდვას ედავება.

გარდა ამისა, ვანო მერაბიშვილს კვარიათში მდებარე აგარაკის მისაკუთრებაშიც ედება ბრალი. მოსამართლის განცხადებით, მომდევნო კვირიდან საქმის განხილვა ყოველდღე გაიმართება. ვანო მერაბიშვილი აღნიშნულ გადაწყვეტილებას ზეწოლად და მის წინააღმდეგ წამების მცდელობად აფასებს, ვინაიდან მას ყოველდღე მოუწევს თბილისიდან ქუთაისში მგზავრობა, რისთვისაც დღეში ექვს საათზე მეტია საჭირო.

გუშინდელ პროცესზე ბრალდების მხარის მოწმეები დაიკითხნენ. პროკურატურამ მოწმეების სახით ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს ყოფილი თანამდებობის პირები წარადგინა.

ერთ-ერთი მოწმის, სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის განცხადებით, მას ვანო მერაბიშვილისგან ან ზურაბ ჭიაბერაშვილისგან არანაირი უკანონო პირდაპირი ან ირიბი დავალება არ მიუღია და მის მიერ უმუშევართა ბაზის პროგრამის შესახებ შედგენილი ყველა დოკუმენტი კანონს შეესაბამებოდა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

## ირანს შეიძლება, სანქციები შეურბილონ

ივა შილაკაძე

ჟენევაში ირანისა და საერთაშორისო შუამავლების „ექვსეულის“ (გაეროს უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრი და გერმანია) მოლაპარაკებების მორიგ რაუნდზე, რომელიც ირანის ბირთვულ პროგრამას ეხება, გარკვეული პროგრესი შეინიშნება. ამ თემას „24 საათი“ წლების განმავლობაში დაწვრილებით აშუქებს, ხოლო მიმდინარე რაუნდის შესახებ არსებულ მწირ ინფორმაციაზე გუშინდელ სტატიაში ვრცლად ვისაუბრეთ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე



ჯონ კერი ჟენევაში სასწრაფოდ ჩავიდა

## ფილიპინებზე უძლიერესი ტაიფუნი მძვინვარებს

ივა შილაკაძე

ფილიპინებს თავს დაატყდა უძლიერესი ტაიფუნი „ჰაიანი“, რომელიც წელს დაფიქსირებულ ქარიშხლებს შორის ნამდვილად უძლიერესია და, ზოგიერთი პროგნოზით, შეიძლება, ყველაზე მძლავრიც აღმოჩნდეს მსოფლიო ისტორიაში, ყოველ შემთხვევაში მას შემდეგ, რას საერთოდ მეტეოროლოგიური დაკვირვება მიმდინარეობს. ამ ტაიფუნს ადგილობრივ მოსახლეობაში სხვა სახელიც აქვს და მას იქ უფრო „იოლანდას“ უწოდებენ.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე



| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 1.6643⇩ | | |
| 1 ევრო | 2.2110⇩ | | |
| 1 ინგლისური გირვანქა | 2.5933⇩ | | |
| 1 თურქული ლირა | 0.8622⇩ | | |
| 100 რუსული რუბლი | 5.0433⇩ | | |
| თბილისი | 31°C - 20°C | | |
| ქუთაისი | 33°C - 20°C | | |
| ზუგდიდი | 32°C - 21°C | | |
| ბათუმი | 27°C - 21°C | | |
| ნავთობი | 3.19 | +0.00 | +0.16% |
| გაზი | 3.58 | +0.11 | +3.07% |
| ოქრო | 1,743.20 | -9.80 | -0.56% |
| ხორბალი | 868.50 | +12.25 | +1.41% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## ბიჭი ვაშლით

### ბერლინის კინოფესტივალს უეს ანდერსონის „გრანდ ოტელ „ბუდაპეშტი“ გახსნის

ია ვეკუა

შარშანდელი კანის საერთაშორისო კინოფესტვალი ამერიკელი უეს ანდერსონის „ამომავალი მთვარის სამეფოთი“ გახსნეს. მართალია, ფილმს არც კონკურსში გაუმარჯვია და არც შემდგომში ჰქონია განსაკუთრებული მიღწევები (ბაფტა-ზე, „ოსკარსა“ და „ოქროს გლობუსზე“ მხოლოდ ნომინაციებს დასჯერდა), ეს ფილმი მაინც შევიდა ისტორიაში იმ მხრივ, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კინოფესტვალი გახსნა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე



## დღეიდან კანადა, აშშ და სამოა




გვ. 8

## პატრიარქმა ერი, მხედრობა და ხელისუფლება დალოცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ქართველი ერი და ხელისუფლება დალოცა. გუშინ საგურამოში, პარაკლისის შემდგომ ქადაგებისას პატრიარქმა წმინდა ილია მართლის ღვაწლზე ისაუბრა და მოსახლეობას ილიაობის დღესასწაული მიულოცა. პარაკლისს საგურამოს ეკლესიაში საქართველოს შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი დაესწრნენ. ტაძარში ასევე იმყოფებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, ბიზნესმენი ლევან ვასაძე და სამეფო გვარის შთამომავლები დავით და უგო ბაგრატიონები. უწმინდესმა ქადაგებისას ახალი ხელისუფლება დალოცა და ისურვა, ღმერთმა ბევრი სიკეთე გააკეთებინოთ.

„დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ ვფიქრობთ წარსულზე, დღევანდელ დღესა და მომავალზე. როცა უჭირდა საქართველოს, როცა დაკარგა პოლიტიკური თავისუფლება, როცა რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, იმ დროს ღმერთმა გამოგვიგზავნა ეს დიდი პიროვნება, წმინდა ილია მართალი, ჭავჭავაძე. შევთხოვ უფალს, მისი ლოცვით გაძლიერდეს საქართველო დღეს, როდესაც არანაკლებ რთული დროა,“ - ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა საქართველოს მშვიდობა და კეთილდღეობა ისურვა.

„ღმერთმა ინებოს, დავინახოთ ნაკლი, თუ ადამიანი ვერ ხედავს თავის ნაკლს, ცოდვას, ის ვერ გამოსწორდება და დარჩება ცოდვილი. წმინდა ილია ჭავჭავაძე ყოველთვის ფიქრობდა სამშობლოსი და არა საკუთარი თავის კეთილდღეობისთვის. ხშირად კრიტიკულად უყურებდა ცალკეულ საკითხებს, მაგრამ ეს არ იყო განკითხვა, ეს იყო ტკივილი. წმინდა ილია მართლმა იტვირთა ორი მძიმე ჯვარი, პოლიტიკური და სულიერი და ორივე ღირსეულად მიიტანა ღვთის საკურთხეველთან. ჩვენ იმედით ვუყურებთ ჩვენს მომავალს,“ - ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქმა დროის ცვალებადობის მნიშვნელობაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ყველამ უნდა იცოდეს, საით მიდის. პატრიარქის თქმით, ცხოვრების კიბეზე ხშირად ზოგიერთი ადამიანი მაღლა ადის, ზოგიერთი კი დაბლა ეშვება.

„ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც უფსკრულისკენ მიდის, მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც ტკივილით, მაგრამ მაინც მიდის მაღლა. ჩვენ უნდა ავიდეთ ამ კიბეზე და გავხდეთ მკვიდრნი სასუფევლისა. ყველაზე იოლი გზა ამისთვის არის მოწყალება, როდესაც ადამიანი ხედავს სხვა ადამიანის გაჭირვებას. ცხოვრებაში ალბათ ბევრჯერ ყოფილა შემთხვევა, როდესაც შეხვედრიხართ გაჭირვებულ ადამიანს და ამ დროს თქვენს სულიერ სამყაროში იწყება ბრძოლა, დაეხმაროთ მას თუ არა. ალბათ, ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც გაგივლიათ, მაგრამ შემდეგ უკან დაბრუნებულხართ, რომ დახმარებოდით. ე.ი. კეთილმა აზრმა გაიმარჯვა. ვლოცავ ჩვენს ერს, მხედრობას, ახალ ხელისუფლებას, ღმერთმა ბევრი სიკეთე გაგაკეთებინოთ. ღმერთმა მოგცეთ თქვენ და საქართველოს მშვიდობა და კეთილდღეობა,“ - ბრძანა უწმინდესმა.

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრობის კანდიდატის შესარჩევი ღია კონკურსის ჩატარების შესახებ“**

**საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N10/10/01 განკარგულებით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე**

პირთა სია

ნოშრევან ჟღენტი
ზაურ ოტიაშვილი
სოფიო ხორგუანი
კონსტანტინე ხაჯალია
დავით ჯიქია
ოთარ პატარქალაშვილი
თეა გოგუაძე-აპფელ
გიორგი ხარატიშვილი
გიორგი ჭოლაძე
მირონ ჩიგოგიძე

საქართველოს პარლამენტი მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს პარლამენტის წევრის კობა სუბელიანის მამის

**თენგიზ სუბელიანის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მას.

# აშშ-ს ყოფილი ელჩი სააკაშვილს დასავლეთში აკადემიური საქმიანობის დაწყებას ურჩევს

აშშ-ში, ვუდრო უილსონის ცენტრში საქართველოს თემაზე გამართულ დისკუსიაში საქართველოში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი კენეტ იალოვეცი მონაწილეობდა. იალოვეცი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებზე საქართველოში დამკვირვებლის რანგში იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ არჩევნების მთელი პროცესი კარგად იყო ორგანიზებული. ამერიკელი დიპლომატის შეფასებით, არჩევნები სამართლიანად და თანაბრად პირობებში ჩატარდა.

კენეტ იალოვეცი ყურადღებას ინაუგურაციის შემდგომ მიხეილ სააკაშვილის მომავალზე ამახვილებს. იალოვეცის თქმით, სააკაშვილის გასამართლება ისევ პოლარიზებას გამოიწვევს და ხალხი ქუჩაში გამოვა. ამერიკელი დიპლომატი დარწმუნებულია, რომ ყოფილი პრეზიდენტის გასამართლება ევროპასა და აშშ-ში ცუდად იქნება აღქმული. იალოვეცი იმასაც შენიშნავს, რომ პრეზიდენტის დაპატიმრებამ შესაძლოა, საქართველოს და ევროკავშირს შორის ურთიერთობებში უკრაინის ანალოგი შექმნას. როგორც ყოფილი ელჩი შენიშნავს, ყოფილი პრემიერის ტიმოშენკოს დაპატიმრება უკრაინასთან ევროკავშირის ურთიერთობის მთავარ თემად იქცა.

იალოვეცს მიაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრთა გასამართლების საკითხზე ბიძინა ივანიშვილი საზოგადოების მოთხოვნასა და საერთაშორისო თანამეგობრობისგან მიღებულ გაფრთხილებებს შორის გარკვეული ბალანსის დაცვას ცდილობდა. **„საზოგადოების და გარკვეული პარტიების მხრიდან ბიძინა ივანიშვილზე, ცხადია, გარკვეული ზეწოლა იქნებოდა, რომ მან სააკაშვილის მიმართ ე.წ. სამართლიანობა აღადგინოს. ამავე დროს, საერთაშორისო თანამეგობრობას ივანიშვილი პოლიტიკური სამართლის გამოყენებას არ ურჩევს,“** - აღნიშნავს დიპლომატი.

იალოვეცის აზრით, პრეზიდენტ სააკაშვილისთვის საუკეთესო ვარიანტი ქვეყნის დატოვება და აშშ-ში ან ევროპაში აკადემიური საქმიანობის გაგრძელება იქნება.

***საკუთარი ინფორმაცია***

# მარგველაშვილი: „დემოკრატიის კონსოლიდაციის რეალური გარანტი ეკონომიკის ზრდა იქნება“

არჩეულ პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან გუშინ ინდივიდუალური შეხვედრების მორიგი სერია ჰქონდა. მარგველაშვილი იტალიის, პოლონეთის, თურქეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის ელჩებს შეხვდა.

შეხვედრების შემდეგ მარგველაშვილმა აღნიშნა, რომ ძირითადი თემა ვილნიუსის სამიტი და მისი შემდგომ პერიოდი იყო. მისივე თქმით, სამიტის შემდეგ უაღრესად სერიოზული ერთწლიანი პერიოდი იწყება, როდესაც საქართველოს ძალიან ბევრი სამუშაო ექნება, რათა ვილნიუსის სამიტის მიღწევები - ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის პარაფირება რეალურად შედგეს. **„უაღრესად სკულპულოზური მუშაობა იქნება საჭირო, რათა 2014 წლის სექტემბერში შეთანხმებას ხელი მოვაწეროთ,“** - ამბობს მარგველაშვილი.

როგორც გიორგი მარგველაშვილი აღნიშნავს, უცხოელ დიპლომატებთან განხილვის თემა ეკონომიკური საკითხებიც იყო. **„ჩვენი დემოკრატიის კონსოლიდაციის რეალური გარანტი ეკონომიკის ზრდა იქნება. ბუნებრივია, ჩვენს ევროპელ კოლეგებთან ამ ნაწილში თანამშრომლობას უაღრესად აქტიურად დავიწყებთ,“** - ამბობს მარგველაშვილი.

იტალიის ელჩი საქართველოში ფედერიკა ფავი ამბობს, რომ მან გიორგი მარგველაშვილს არჩევნებში გამარჯვება იტალიის სახელით მიულოცა. ფავი პირადად მარგველაშვილსა და საქართველოს წარმატებას უსურვებს. ელჩის თქმით, შეხვედრაზე საუბრის თემა საქართველოში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები იყო. მისი შეფასებით, საქართველოში დემოკრატია სწრაფად ვითარდება. **„ჩვენი დამკვირვებლები არჩევნებს დადებითად აფასებენ. ვულოცავ საქართველოს ასეთი არჩევნების ჩატარებას. იტალიასა და საქართველოს შორის ურთიერთობის გაუმჯობესება გვსურს. იტალია საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მის ევროპულ მისწრაფებებს მხარს უჭერს,“** - დასძენს იტალიელი დიპლომატი.

ჩეხეთის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში ივან იესტრჟაბი აღნიშნავს, რომ მისი ქვეყანა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას კვლავ მხარს დაუჭერს.

რაც შეეხება ვილნიუსის სამიტს, იესტრჟაბის შეფასებით, ეს სამიტი მორიგი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. **„ამ შეხვედრაზე საქართველოს და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის შემდგომი ეტაპი დაიწყება. ჩეხეთი საქართველოს დიდ დახმარებას გაუწევს,“** - ამბობს იესტრჟაბი.

თურქეთის ელჩის საქართველოში ლევენტ მურანტ ბურჰანის ინფორმაციით, მან საქართველოს არჩეულ პრეზიდენტს უთხრა, რომ თურქეთი საქართველოსთან არსებული სამაგალითო ურთიერთობების გასაგრძელებლად მზად არის.

**„საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომლის მოქალაქეებსაც თურქეთში შესვლა პასპორტის გარეშე შეუძლიათ. ეს თურქეთსა და საქართველოს შორის დიდი ნდობის არსებობის ნიშანია,“** - ამბობს დიპლომატი.

***საკუთარი ინფორმაცია***

# საკრებულოდან გათავისუფლებულ თანამშრომელთა ინტერესებს საია დაიცავს

თბილისის საკრებულოში „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციების წევრები გუშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის დასკვნას გამოეხმაურნენ და იმ რეორგანიზაციის უკანონობაზე ისაუბრეს, რომლის შედეგადაც საკრებულოდან 22 თანამშრომელი გაათავისუფლეს.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები თემურ გრიგალაშვილი და თამაზ შოშიაშვილი ამბობენ, რომ სექტემბერში საკრებულოს აპარატიდან რამდენიმე ათეული თანამშრომელი გაათავისუფლეს. **„იმთავიდანვე ვაცხადებდით, რომ ეს გათავისუფლება უკანონო იყო და უმარვლესობის მხრიდან გამოცხადებული რეორგანიზაცია თვალთმაქცობა გახლდათ. გათავისუფლებული ადამიანების ნაცვლად სასურველი პირები დანიშნეს,“** - ამბობენ საკრებულოს წევრები და საიას განცხადებას იშველიებენ, - **„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განაცხადა, რომ გათავისუფლება უკანონო იყო და საია გათავისუფლებული ადამიანების ინტერესს სასამართლოში დაიცავს. მოგეხსენებათ, საჩივარი უკვე შეტანილია. ჩვენ ამავდროულად წერილობით მივმართეთ სახალხო დამცველს და ამ ფაქტზე მის რეაგირებას უახლოეს დღეებში ველოდებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ შტატები არ შემცირებულა, არამედ გაიზარდა.“**

თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - რეფორმატორების“ თავმჯდომარე თემურ გრიგალაშვილის თქმით, მთელი ერთი თვის განმავლობაში შტატებით მანიპულირებდნენ. მისივე ინფორმაციით, რეორგანიზაცია 16 აგვისტოს გამოცხადდა, 19 აგვისტოს კი უმრავლესობამ შტატები სამი ერთეულით გაზარდა. **„იმედი გვაქვს, სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებს,“** - ამბობს თემურ გრიგალაშვილი.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - განახლებული თბილისის“ თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილის თქმით, საკრებულოს უახლოეს სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ ფრაქციები აპარატის უფროსის გიორგი ფიცხელაურის გადაყენების საკითხს დააყენებენ. შოშიაშვილის განმარტებით, საკრებულოს აპარატის უფროსი საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი და საკრებულოს უმრავლესობის მიერ დამტკიცებული თანამდებობის პირია.

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იმედოვნებენ, რომ სასამართლო პროცესი მათთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

საკრებულოს ფრაქცია „დედაქალაქის“ თავმჯდომარე კოკი იონათამიშვილი ყოფილ თანაგუნდელებს არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ რეორგანიზაციის შედეგად ისეთი ადამიანები გათავისუფლდნენ, რომლებიც სამსახურში არ დადიოდნენ, ამასთან, იონათამიშვილის მტკიცებით, გათავისუფლებულ პირთა ნაწილი, რომლებიც მთავარ სპეციალისტებად იყვნენ გაფორმებულები, რეალურად მძღოლებად მუშაობდნენ. მისივე თქმით, თანამშრომელთა ნაწილის გათავისუფლების მიზეზი კი ის იყო, რომ მათ შენიშვნები ჰქონდათ მიღებული. იონათამიშვილის თქმით, სწორედ, ამ გარემოებების გამო საკრებულოში რეორგანიზაცია გამოცხადდა.

რაც შეეხება შტატების გაზრდის შესახებ გაკეთებულ განცხადებას, იონათამიშვილი ამბობს, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით მიწის ლეგალიზების კომისია, რომელშიც მერია და საკრებულო ერთობლივად მუშაობენ, საკრებულოს დაქვემდებარებაში გადავიდა, რასაც შტატების გაზრდა დასჭირდა.

***საკუთარი ინფორმაცია***

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული.** ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# მთავარი პროკურორი ფინანსთა სამინისტროდან

პირველი გვერდიდან

ახლად არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მთავრობის ახალი შემადგენლობის ფორმირების საკითხზე გამართულ კონსულტაციებში არ მონაწილეობს.

მისი თქმით, მთავრობის ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე მომავალი პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი აქტიურად მუშაობს და მას „წყნარად მუშაობისთვის“ დრო და შესაძლებლობა უნდა მიეცეს.

**„ჭორების კომენტირება ჩემი საქმე არ არის. ირაკლი ღარიბაშვილი უაღრესად აქტიურად მუშაობს ახალი გუნდის ჩამოყალიბებაზე. მას უნდა მივცეთ დრო, შესაძლებობა, რომ წყნარად იმუშაოს ამ მიმართულებით. ამ პროცესში არ უნდა ჩავერთო, არ უნდა გავაკეთო კომენტარები და ეს ასეც არის. ჭორების პარალელურად, ჩვენ უნდა ველოდოთ ირაკლი ღარიბაშვილის პოზიციას, იმას, რანაირადაც ხედავს ის მომავალ მთავრობას და მე პატივს ვცემ მის პოზიციას. კონსულტაციებში არ ვმონაწილეობ, რადგან ეს პრეზიდენტის პრეროგატივა არ არის,“** - განაცხადა საქართველოს ახალარჩეულმა პრეზიდენტმა.

მინისტრთა კაბინეტის ახალ შემადგენლობაზე გუშინ კომენატრი გააკეთა ირაკლი ღარიბაშვილმაც.

პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის განცხადებით, მას მომავალი შს მინისტრი უკვე შერჩეული ჰყავს, უკვე კონსულტაციებიც გავლილი აქვს ბიძინა ივანიშვილთან და ახალი შს მინისტრის ვინაობას საზოგადოება უახლოეს მომავალში გაიგებს.

**„ის იქნება ძალიან ღირსეული, ახალგაზრდა ადამიანი. მე ის უკვე შერჩეული მყავს და გავიარე კონსულტაციები ბატონ პრემიერთან. თუმცა, მის ვინაობას მოგვიანებით შეგატყობინებთ,“** - განაცხადა ღარიბაშვილმა.

ამასთან, მომავალმა პრემიერმა აღნიშნა, რომ მთავრობაში ძირეული გადაადგილებები არ იგეგმება და ირაკლი ალასანია და თეა წულუკიანი თანამდებობებს შეინარჩუნებენ.

**„მთავარი ცვლილებები არის, რომ ჩვენ გვეყოლება ახალი მთავარი პროკურორი და ჩემი შემცვლელი,“** - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მოქმედი შინაგან საქმეთა მინისტრი და მომავალი პრემიერი მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის განცხადებას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ კბილაშვილთან არანაირი უთანხმოება არ აქვს.

**„ჩემსა და არჩილს შორის არავითარი უთანხმოება არ არსებობს,“** - აღნიშნა ღარიბაშვილმა.

გუშინ ცნობილი გახდა ქვეყნის ახალი მთავარი პროკურორის ვინაობაც. არჩილ კბილაშვილს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მოქმედი ხელმძღვანელი ოთარ ფარცხალაძე შეცვლის. ის მთავარი პროკურორის თანამდებობაზე, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ დაინიშნება.

ოთარ ფარცხალაძე 37 წლის არის და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მუშაობის 6-წლიანი სტაჟი აქვს. საგამოძიებო სამსახურს კი თითქმის ერთი წელია, ხელმძღვანელობს.

მის სახელს უკავშირდება უგულავას, კეზერაშვილის, ჩოჩელის, ნაცვლიშვილის ბრალდების საქმეები და მერიის თანამშრომლების გახმაურებული საქმეც, როდესაც ნატო-ს გენერალური მდივნის ანდერს ფოგ რასმუსენის თბილისში ვიზიტისას მერიის თანამშრომლები საგამოძიებო სამსახურში ხელბორკილებით მიიყვანეს და შემდეგ გაათავისუფლეს.

**„მის სახელს უკავშირდება: სპირტების კონტრაბანდის საქმე, რომელშიც ბრალდებულია დავით კეზერაშვილი; რიყის, ტელეკომპანია „იმედის“, „თბილსერვის ჯგუფის“ საქმეები, სადაც ბრალდებულები არიან თბილისის მერი გიგი უგულავა და დავით კეზერაშვილი; „ნიუ ენერჯისა და შპალერის ქარხნის საქმე, ამ შემთხვევაში ბრალდებულია ცეზარ ჩოჩელი; შპს „არტესის საქმე, სადაც ბრალდებულები არიან გია ნაცვლიშვილი და ზაზა კაპანაძე; და ახალი პარლამენტის მშენებელი კომპანია „მენო ინტერნეიშენალის“ დამფუძნებლის გიორგი კურცხალიას საქმე,“** - აცხადებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თემურ დოლიძე.

მმართველ გუნდში ოთარ ფარცხალაძეს არ იცნობენ, თუმცა ირაკლი ღარიბაშვილის პოლიტიკურ გემოვნებას ენდობიან და იმედოვნებენ, რომ მომავალი მთავარი პროკურორი თავის საქმიანობას თავს კარგად გაართმევს.

**„ის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელად მუშაობდა და ალბათ ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელსაც გარკვეული შეხება და კოორდინაცია ჰქონდა ამ სამსახურთან, წარმოდგენა აქვს მისი საქმიანობის შესახებ. ის კარგი ხელმძღვანელი რომ არ ყოფილიყო, მას პრემიერობის კანდიდატი ამ თანამდებობას არ შესთავაზებდა,“** - აღნიშნა პარლამენტის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი სესიაშვილმა.

საპარლამენტო უმცირესობაში კი ყურადღებას მერიის თანამშრომლების საქმეზე ამახვილებენ და შენიშნავენ, რომ ოთარ ფარცხალაძის მთავარ პროკურორად დანიშვნა მთავარი პროკურატურის შს სამინისტროს დანამატად გადაქცევას ნიშნავს.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე ფიქრობს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს მთავარი პროკურორობის კანდიდატთან პირადი ურთიერთობები აკავშირებს.

**„ახალ გენერალურ პროკურორს არ ვიცნობ, მაგრამ ვიცი, რომ ის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსი იყო. სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოხდა ის სამარცხვინო ფაქტი, რომელიც თბილისის მერიის თანამშრომლებს ეხებათ. ალბათ, ყველას გახსოვთ, რომ თბილისის მერიის 30 თანამშრომელი საგამოძიებო სამსახურში ხელბორკილებით მიიყვანეს. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ოთარ ფირცხალაძეს უთხრეს, რომ არ შეიძლებოდა ამის გაკეთება სწორედ იმ დღეს, როცა საქართველოს ჩრდილოატლანტიკური საბჭო სტუმრობდა. ამიტომ დაკავებული ადამიანები გაათავისუფლეს და განაცხადეს, რომ ისინი საგამოძიებო სამსახურში მოწმის სტატუსით იყვნენ დაბარებულები. თუმცა, როგორც კი ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ საქართველო დატოვა, თბილისის მერიის თანამშრომლები ისევ დააპატიმრეს. ვფიქრობ, საზოგადოებისა და საკუთარი მთავრობისთვის ასეთი „პროფესიონალის შეთავაზება ირაკლი ღარიბაშვილის შეცდომაა, ძალიან სერიოზული პრობლემა და მიუთითებს იმაზე, რომ მომავალ პრემიერ-მინისტრს ახალ პროკურორთან გარკვეული პირადი ურთიერთობები აკავშირებს, რაც თავისთავად ძალიან ცუდი ტენდენციის გაგრძელებაა. პირადი ურთიერთობების მიხედვით ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე ადამიანების დანიშვნა, კარგს არაფერს მოუტანს არც მას და არც ქვეყანას,“** - განაცხადა გია ბარამიძემ.

საპარლამენტო უმცირესობის წევრ ირმა ნადირაშვილის თქმით, ფარცხალაძის მთავარ პროკურორად დანიშვნის შემდეგ პროკურატურას შს სამინისტრო გააკონტროლებს.

**„რამდენიმე თვის წინ ირაკლი ღარიბაშვილმა კბილაშვილის მაკონტროლებლად, მის მოადგილედ გაბიტაშვილი დანიშნა. ამ მექანიზმმა ჯეროვნად ვერ იმუშავა და დღეს უკვე მთავარ პროკურორად ინიშნება ფარცხალაძე - ღარიბაშვილის კადრი. ეს ერთადერთ რაღაცას ნიშნავს, რომ პროკურატურა, რომელიც ბუნებით მაკონტროლებელია შს სამინისტროსი, ამ ფუნქციას ველარ შეასრულებს და ის, უბრალოდ, შს სამინისტროს დანამატი გახდება. ამ ტენდენციაზე თუნდაც ის მიუთითებს, რომ ახალი მთავარი პროკურორის შესახებ ინფორმაცია შს მინისტრის პრესსამსახურმა გაავრცელა და არა იუსტიციის მინისტრმა, რაც ბუნებრივი იქნებოდა,“** - განაცხადა ნადირაშვილმა.

# ვანო მერაბიშვილი: „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია, წავიდეს"

პირველი გვერდიდან

ბრალდების მხარის კიდევ ერთმა მოწმემ, სააგენტოს სტატისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ იგი მოხარული იყო, რადგან ზურაბ ჭიაბერაშვილთან მუშაობის შესაძლებლობა მიეცა.

პროკურატურის მორიგი მოწმის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტროს შემოწმების დროს სოციალური მომსახურების სააგენტომ მას არ მიაწოდა მონაცემები სააგენტოს მიერ დასაქმების მაძიებელთა პროგრამის შედეგების შესახებ. მოწმემ გაიხსენა, რომ პროკურატურაში დაკითხვაზე, დაახლოებით, ერთი კვირის წინ, მხოლოდ ერთხელ იყო და დაკითხვის ოქმზე ხელი არ მოაწერინეს.

ვანო მერაბიშვილი დაინტერესდა, უყურებდა თუ არა აღნიშნული მოწმე, აუდიტის სამსახურის თანამშრომელი ნათია გამყრელიძე თურქულ სერიალებს.

**„მე ამ გოგონას ვკითხე, უყურებდა თუ არა ტელევიზორს, რადგან ის მუშაობს აუდიტის სამსახურში და ამ სამსახურის უფროსი ყოველთვის გვადანაშაულებდა და ამბობდა, რომ ჩვენ დამნაშავეები ვიყავით. დავინტერესდი, როცა ეს მოწმე აუდიტს ატარებდა, ხომ არ ჰქონდა მას მისი უფროსის გავლენა, რადგან საინფორმაციო საშუალებებში მისი უფროსი ჩვენ მუდამ გვადანაშაულებდა და ეს იქნებოდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებზე არაპირდაპირი ზეწოლა,“** - განაცხადა მერაბიშვილმა.

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივნის კითხვაზე აუდიტის სამსახურის თანამშრომელმა უპასუხა, რომ ის ტელევიზორს არ უყურებს და აქედან გამომდინარე, არც მისი უფროსი უნახავს გადაცემებში.

მერაბიშვილის თქმით, მისთვის დაუჯერებელია, რომ ბრალდების მხარის მოწმე ტელევიზორში სერიალებსაც არ უყურებს.

სხდომაზე დაცვის მხარემ შენიშნა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ამჟამინდელი დირექტორი ნოე ქინქლაძეა, რომელიც მანამდე ბიძინა ივანიშვილის კომპანია „ელიტა ბურჯის“ ხელმძღვანელი იყო. აღნიშნულმა კომპანიამ 2013 წელს შსს-ს გამარტივებული ტენდერი მოიგო 1.5 მილიონი ლარის ოდენობით და ეს კომპანია, ადვოკატების მტკიცებით, „ქართული ოცნების“ შემომწირველია.

ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის მომდევნო სასამართლო პროცესი 11 ნოემბერს განახლდება.

ადვოკატ გიორგი გელხაურის განცხადებით, მომდევნო კვირასაც გაგრძელდება იმ მოწმეების დაკითხვა, რომლებსაც ბრალდების მხარე 4 ათასი მოწმიდან ამოარჩევს. მოსამართლე ნათია ბარბაქაძის ინფორმაციით, მომდევნო კვირას ყოფილი პრემიერ-მინისტრის და კახეთის გუბერნატორის საქმის არსებითი განხილვა გაიმართება.

ამასთან, ვანო მერაბიშვილი მთავარი პროკურორის არჩილ კბილაშვილის გადადგომას გამოეხმაურა. მერაბიშვილის თქმით, არჩილ კბილაშვილმა პროკურატურა ბიძინა ივანიშვილის პირადი შურისძიების ინსტრუმენტად აქცია.

**„ამ ადამიანმა პროკურატურა აქცია ივანიშვილის პირადი შურისძიების ინსტრუმენტად. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში პროკურატურა ასრულებს ივანიშვილის პირად დავალებებს, რაც გულისხმობს პოლიტიკური ოპონენტების განადგურებას, ალტერნატიული აზრის მოსპობას, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ დაშლას და პოლიტიკური სივრციდან გაქრობას.**

**ამავე დროს, კბილაშვილმა თავის თავზე აიღო მწამებელი ვლადიმერ ბედუკაძის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება, რითიც დაფარა ბედუკაძისა და მისი ჯგუფის თანამშრომლობა „ქართულ ოცნებასთან“.**

**მისი საქმიანობა შეიძლება, მოკლედ ასე შეფასდეს - იგი იყო ოპონენტების ჯალათი და ჯალათების ადვოკატი. „მავრმა თავისი საქმე გააკეთა, მავრს შეუძლია, წავიდეს“,** - წერს ვანო მერაბიშვილი სოციალურ ქსელში გავრცელებულ განცხადებაში.

# მიხეილ სააკაშვილი ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტს შეხვდა

ვილნიუსის სამიტის წინ საქართველოს პრეზიდენტი ევროპელ ლიდერებთან შეხვედრებს აგრძელებს. მიხეილ სააკაშვილი ბრიუსელში ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტ ჰერმან ვან რომპეის შეხვდა. საუბრის მთავარი თემა საქართველოს ევროპული კურსი იყო. მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე გაამახვილა და ევროკავშირის ლიდერს მჭიდრო თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

**„საქართველო უფრო მოკრძალებულ ნაბიჯს გადადგამს ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე, ვიდრე ვვარაუდობდით, მაგრამ ეს მაინც პროგრესი იქნება და ჩვენ ამის ალტერნატივა არ გაგვაჩნია. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს დამოკიდებული იქნება მტკიცე პრინციპებზე და ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საკითხი გვაქვს მოსაგვარებელი. მაგალითად, ჩვენი ყოფილი პრემიერ-მინისტრი ისევ პატიმრობაში, სრულ იზოლაციაში იმყოფება. თქვენ ხედავთ, რომ პრობლემაა უკრაინაშიც, სადაც ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ასევე პატიმრობაშია. როდესაც ჩვენც გადავალთ უკრაინის ეტაპზე, შესაძლოა, იმავე პრობლემებს შევეჩეხოთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კანონის უზენაესობის დაცვის შედეგად, უკეთესი ინსტიტუციებითა და ევროპასთან ერთად ამას თავიდან ავირიდებთ. პირადად მე მადლიერი ვარ პრეზიდენტის. საქართველოში იგი ძალიან მნიშვნელოვან პერიოდში, მისი ქვეყნის წარმომადგენლის რანგში ჩამოვიდა. მთელი ამ წლების განმავლობაში იგი ჩვენი დიდი მეგობარი და დიდი მრჩეველი იყო. მე აქ მოვედი, რათა მადლობა გადავუხადო მას იმისთვის, რომ დიდი ევროპელია და ასევე ყველა იმ საქმისთვის, რომელიც ჩვენ ერთად გვიკეთებია ჩვენი რეგიონის ევროპასთან კიდევ უფრო დასაახლოვებლად. როდესაც პრეზიდენტი გავხდი, პირველი დროშა, რომელიც მე აღვმართე, ევროკავშირის დროშა იყო. მაშინ ეს არავინ მიიღო სერიოზულად, ახლა კი ამ საკითხს ყველა დიდი სერიოზულობით ეკიდება. ჩვენ უკვე ბევრად ახლოს ვართ ბრიუსელთან, ვიდრე ადრე. ეს ჩემთვის არის კარგი მომენტი შეჯამებისთვის და ასევე პარალელური ვიზიტი. მოხარული ვარ ასეთი მეგობრული და სასიამოვნო საუბრის გამო,“** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა შეხვედრის შემდეგ.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტმა ევროპის სახალხო პარტიის ლიდერი ვილფრიდ მარტენსი, სიკვდილის შემდეგ, წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა. სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდო მიხეილ სააკაშვილმა ბრიუსელში ვილფრიდ მარტენსის მეუღლეს, ცნობილ ბელგიელ პოლიტიკოსს, ევროპარლამენტარ მიტ სმეტს გადასცა.

**„ვილფრიდ მარტენსი, ფაქტობრივად, პოლიტიკოსების დიდი თაობის უკანასკნელი მოჰიკანი იყო. მართლაც საოცარი და შესანიშნავია, რომ იგი თითქმის ყველა დიდ ლიდერს მოესწრო და აქტიური იყო სიცოცხლის ბოლომდე. დიდი იყო მისი წვლილი არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც კი, რადგან მისმა თაობამ, მისი აქტიური მონაწილეობითა და ლიდერობით, შეცვალა მსოფლიო და ჩვენ ეს კარგად ვიცით. ჩვენ გავიზარდეთ არათავისუფალ გარემოში და მისი და სხვა მსოფლიო ლიდერების წყალობით, როგორებიც იყვნენ რეიგანი, მარგარეტ ტეტჩერი და სხვები, მსოფლიო გახდა ისეთი, როგორიც დღეს არის - ბევრად უკეთესი, უფრო დიდი შესაძლებლობებით. მას უყვარდა ყველა, ვისაც, მისი აზრით, რაღაც სასარგებლოს გაკეთება შეეძლო სამყაროსთვის. სწორედ ამიტომ ბელგიისთვის, ევროპისა და ჩემი ქვეყნისთვის ამ დიდი ფიგურის მიმართ ჩვენი გულწრფელი მადლიერების ნიშნად, მინდა, თქვენ გადმოგცეთ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო - წმინდა გიორგის სახელობის გამარჯვების ორდენი,“** - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ვილფრიდ მარტენსის მეუღლემ მიტ სმეტიმ საქართველოს პრეზიდენტს ჯილდოსთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ვილფრიდ მარტენსი ოპტიმისტურად იყო განწყობილი.

**„ბატონო პრეზიდენტო, ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება ჩემი მეუღლის სახელით. თქვენ იცით, რომ როდესაც ის საქართველოდან დაბრუნდა, ძალიან ოპტიმისტურად იყო განწყობილი არა მხოლოდ საქართველოს მომავლის მიმართ, არამედ, განსაკუთრებით, იმის მიმართ, რაც თქვენ გააკეთეთ. მას გამოცდილება კარნახობდა, რომ ახალ დემოკრატიულ სივრცეში თქვენ ახალი ტექნოლოგიებით შეხვედით, მაგალითად, პოლიციის რეფორმით, რომელიც თქვენ განახორციელეთ. იგი ფიქრობდა, რომ ეს უკეთესად გაკეთდა საქართველოში, ვიდრე ბელგიაში. ის ძალიან ბევრს ლაპარაკობდა საქართველოს შესახებ. მადლობას გიხდით, ჩემთვის დიდი პატივია ამ ჯილდოს მიღება, რომელიც თქვენი ქვეყნის ფერებშია. არასდროს დავივიწყებ იმას, რომ მას საქართველო ასე უსაზღვროდ უყვარდა,“** - განაცხადა მიტ სმეტიმ.

## უშიშროების საბჭოში საუდის არაბეთის ადგილს იორდანია დაიკავებს

ცოტა ხნის წინ საუდის არაბეთმა გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრობაზე უარი განაცხადა. სააგენტო AP-ის ინფორმაციით, მის ადგილს იორდანია დაიკავებს. სააგენტოს ცნობით, გაეროში იორდანიის წარმომადგენელი გუშინ ამანში ჩაფრინდა, რათა ის ახალი როლი განეხილა, რომელსაც ქვეყანა გაეროს უშიშროების საბჭოში შეასრულებს. 2013 წლის ოქტომბერში საუდის არაბეთი პირველად აირჩიეს 2014-2015 წლებისთვის გაეროს უშიშროების საბჭოს არამუდმივ წევრად, თუმცა ერ-რიადმა ამ ადგილზე უარი თქვა, მიზეზად კი ამ ორგანოს არაეფექტური მუშაობა დაასახელა.

## „თალიბანი" პაკისტანში თავდასხმებით იმუქრება

პარასკევს პაკისტანის „თალიბანმა", ახალ ლიდერად მოლა ფაზლულას დასახელების შემდეგ, განაცხადა, რომ ქვეყნის მთავრობის წინააღმდეგ თავდასხმების სერიას მოაწყობენ. 1 ნოემბერს ამერიკის უპილოტო თვითმფრინავიდან განხორციელებულ საჰაერო იერიშს მოძრაობის ლიდერი ჰაკიმულა მეჰსუდი ემსხვერპლა. „ჩვენი სამიზნე უსაფრთხოების სამსახურები, პოლიტიკური ლიდერები და პოლიცია იქნება," - განუცხადა „როიტერს" მოძრაობის წარმომადგენელმა ასმათულა შაჰეენმა. მისი თქმით, „თალიბანი" თავდასხმებს განახორციელებს პანჯაბის პროვინციაში არსებულ სამთავრობო შენობებსა და არმიაზე, ასევე პრემიერ ნავაზ შარიფის ადგილსამყოფელზეც: „ჩვენ გაგვაჩნია გეგმა. მე მინდა, ერთი რამ ნათლად განვაცხადო - ჩვენ თავს არ ვესხმით უბრალო მოსახლეობას, ბაზრებსა თუ საჯარო თავშეყრის ადგილებს," - დაამატა შაჰეენმა.

ამერიკის მიერ განხორციელებული იერიშების შესახებ ქვეყნის მთავრობა საჯაროდ გამოთქვამს უკმაყოფილებას და აღნიშნულს ქვეყნის სუვერენიტეტის დარღვევადაც მიიჩნევს, თუმცა ამის არ სჯერათ „თალიბანის" წევრებს: „საჰერო იერიშების შესახებ პაკისტანი სრულ ინფორმაციას ფლობს. პაკისტანი ამერიკის მონაა. ეს ამერიკის კოლონიაა," - აღნიშნავს შაჰეენი.

## სომხეთში 5 ნოემბრის აქციის რვა მონაწილე დააპატიმრეს

სომხეთის რვა მოქალაქეს, რომლებიც 5 ნოემბერს ერევნის ცენტრში სამართალდაცმველებთან შეტაკებაში მონაწილეობის გამო აიყვანეს, ბრალდებები წაუყენეს და დააპატიმრეს. სომხეთის პოლიციის პრესსამსახურში „რია ნოვოსტის" განუცხადეს, რომ დაკავებულებს შორის მოძრაობა „ცეგარკონის" ლიდერი შანთ არუთიუნიანი არ არის. პოლიციის ინფორმაციით, აქციის მონაწილეებს „ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ძალადობის გამოვლინება" ბრალდებათ. გავრცელებული ინფორმაციით, არუთიუნიანის ხელჯოხებით შეიარაღებულმა მომხრეებმა სამშაბათს არასანქცირებული მსვლელობის გამართვა დაიწყეს. პოლიციამ მათ წესრიგის დაცვისკენ მოუწოდა, თუცა აქციის მონაწილეებმა პოლიციის წინააღმდეგ თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები გამოყენეს. ინციდენტის შედეგად რამდენიმე პოლიციელი დაშავდა. პოლიციამ იმ დღეს აქციის 38 მონაწილე დააკავა.

## „ეფ-ეს-ბე" ბრიტანულ დაზვერვასთან ითანამშრომლებს

„ეფ-ეს-ბემ" დაადსტურა, რომ სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ბრიტანულ დაზვერვასთან „MI6"-თან ითანამშრომლებს. დიალოგის შესახებ ხუთშაბათს „MI6"-ს ხელმძღვანელმა რიჩარდ სოურსმა პარლამენტში გამოსვლისას განაცხადა. „ეფ-ეს-ბესა" და „MI6"-ს შორის თანამშრომლობა 2006 წელს რუსეთის სპეცსამსახურების ყოფილი თანამშრომლის ალექსანდრე ლიტვინენკოს მკვლელობის შემდეგ შეწყდა.

## „როიტერი": სნოუდენი თანამშრომლების პაროლებს იყენებდა

„როიტერი" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით წერს, რომ ედუარდ სნოუდენი ჰავაის სადაზვერვო ბაზაზე საიდუმლო ინფორმაციის მოსაპოვებლად თავისი კოლეგების პაროლებს იყენებდა. ის პირები, რომლებმაც სნოუდენს საკუთარი პაროლი გაანდეს, უკვე დაჰკითხეს და თანამდებობებიდან გაათავისუფლეს. ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს ცენტრში, რომელიც ჰავაიზე მდებარეობს, სნოუდენი ერთი თვის განმავლობაში მუშაობდა, სადაც მან 20-25 თანამშრომლის დარწმუნება შეძლო, რათა მისთვის პაროლები გაემხილათ. სნოუდენი ივნისში ჰონგ-კონგიდან მოსკოვში ჩაფრინდა და აგვისტომდე შერემეტიევოს აეროპორტის სატრანზიტო ზონაში იმყოფებოდა. აგვისტოში რუსეთმა მას დროებითი თავშესაფარი მიანიჭა.

## დასავლეთ ნაპირზე პალესტინელი მოკლეს

„როიტერის" ცნობით, მდინარე იორდნეს დასავლეთ ნაპირზე ისრაელმა სამხედროებმა ერთი პალესტინელი მოკლეს, რომელიც, სავარაუდოდ, მათზე თავდასხმას გეგმავდა. ისრაელის პოლიციის წარმომადგენლის ცნობით, დანით შეიარაღებული პალესტინელი მამაკაცი იერუსალიმთან ახლოს არ დაემორჩილა პოლიციას, როდესაც მას გაჩერება მოსთხოვეს. ამის შემდეგ მას ცეცხლი გაუხსნეს. პალესტინელი ექიმების ინფორმაციით, მოკლული ჰებრონის 23 წლის მცხოვრები იყო.

*მოამზადა თამთა კახაძემ*

# ირანს შეიძლება, სანქციები შეუმსუბუქონ

პირველი გვერდიდან

მოლაპარაკებების დეტალები, ცხადია, არ ხმაურდება.

გუშინ, დილას, ოპტიმისტური განცხადებები გააკეთეს ირანის წარმომადგენლებმა: საგარეო საქმეთა მინისტრმა მოჰამედ ჯავად ზარიფმა და მისმა მოადგილემ აბას არაქჩიმ. ნაკლებად ოპტიმისტური იყო ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის პრესმდივანი მაიკლ მანი. მისი სიტყვებით, მოლაპარაკებები ახლა უფრო რთულ, დეტალური განხილვის სტადიაში შედის. ირანელების თქმით, მათ წინადადებას მოლაპარაკებების წარმოებისა და პრობლემის მოგვარების ზოგადი გეგმის შესახებ, „ექვსეული" დაეთანხმა. ზარიფის სიტყვებით, უკვე შეიძლება, ერთობლივი განცხადება მომზადდეს, რომელშიც ჩამოყალიბებული იქნება საერთო მიზანი, საბოლოო შედეგი, რომელიც ერთ წელიწადში მაინც უნდა იქნეს მიღწეული და ურთიერთნდობის აღდგენისთვის საჭირო ზომები.



*მოჰამედ ჯავად ზარიფი*

ასეთი ოპტიმისტური განცხადებები „ექვსეულიდან» არავის გაუკეთებია, მაგრამ აშკარად პროგრესის ნიშანი იყო მოლაპარაკებებში მონაწილეთა „დონის ამაღლება". აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა, რომელიც პარასკევს, დილას, იორდანიაში იმყოფებოდა, ახლო აღმოსავლეთში ტურნე შეაჩერა, სასწრაფოდ გადაფრინდა ისრაელში პრემიერ ნეთანიაჰუსთან კონსულტაციების გასავლელად და შემდეგ ჟენევაში მოლაპარაკებებს შეუერთდა. იქვე სასწრაფოდ ჩავიდნენ დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრები უილიამ ჰეიგი, გვიდო ვესტერველე და ლორან ფაბიუსი.

საერთაშორისო მიმომხილველებს „ფრთები შეესხათ" და შორსმიმავალი პროგნოზების გაკეთება დაიწყეს, თუმცა უკვე ჟენევაში ჯონ კერიმ განაცხადა, რომ ირანთან ჯერ არანაირი შეთანხმება არ მომხდარა.

ყველაზე რთული მხარეებს შორის ნდობის აღდგენაა. ირანიც და „ექვსეულიც" პირველი ნაბიჯის გადადგმას მოლაპარაკების პარტნიორისგან ელოდებიან. აქამდე მხოლოდ განცხადებები კეთდება, რომ თითქოს კომპრომისისთვის ყველა მზად არის. აბას არაკჩიმ განაცხადა, რომ ირანში ურანის გამდიდრების საკითხი არ განიხილება. ეს „წითელი ხაზია», რომელსაც არ გადაკვეთენ. მიაჩნიათ, რომ ქვეყანას ამის უფლება აქვს. ირანი აცხადებს მზადყოფნას, განიხილოს ურანის გამდიდრების მოცულობა და დონე. პირველ ეტაპზე ეს ალბათ მისაღებია. გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ ექვსეული შეიძლება, სანქციების ოდნავ, ზომიერად შერბილებაზეც წავიდეს, ოღონდ ამას უნდა ირანის კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვეს, რომლის შემოწმებაც შესძლებელი იქნება. სხვა შემთხვევაში, დასავლეთი სანქციებს ისევ გაამკაცრებს. საბოლოოდ, საერთშორისო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ ირანის ბირთვული პროგრამა, მართლაც, მხოლოდ მშვიდობიანი ხასიათისაა. სხვათა შორის, აშშ-ს კონგრესში მზად არის პროექტი ირანის წინააღმდეგ სანქციების კიდევ უფრო გასამკაცრებლად და აშშ-ს აღმასრულებელი ხელისუფლება ბოლო დღეებში ყველა ღონეს ხმარობს, რათა სენატში ამ საკითხის კენჭისყრა (წარმომადგენელთა პალატას უკვე მიღებული აქვს) გადაიდოს და ირანს დრო მიეცეს „გამოსასწორებლად".

ჟენევაში ირანთან ნებისმიერი შეთანხმების დადებას, რომელიც სანქციების შერბილებას გულისხმობს, კატეგორიულად ეწინააღმდეგება ისრაელი. პრემიერ ნეთანიაჰუს აზრით, ეს ირანის დიპლომატიური გამარჯვება და მსოფლიო თანამეგობრობის ისტორიული შეცდომა იქნება, რადგან ირანი რაღაცას ისე მიიღებს, რომ თვითონ არაფერს გააკეთებს და ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის გასაგრძელებლად დრო კიდევ ექნება. ყველა შემთხვევაში, ისრაელი ამ ხელშეკრულებით თავის ვალდებულებას არ იღებს და საკუთარი უსაფრთხოებისთვის დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას იტოვებს.

# ფილიპინებზე უძლიერესი ტაიფუნი მძვინვარებს

პირველი გვერდიდან

ადგილობრივი დროით 4:40 საათზე ტროპიკული შტორმი თავს დაატყდა კუნძულ სამარს ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ გუიუანიდან 60 კილომეტრში. ხმელეთთან მიახლოებისას ქარის სიჩქარე - საათში 314 კილომეტრი ან სხვა შკალით - წამში 87 მეტრი იყო. კუნძულებთან სამართან და ლეიტესთან ტალღების სიმაღლე 5 მეტრს აღწევდა. გუიუანში ქარის სიმძლავრემ საათში 380 კილომეტრს მიაღწია. ქარი და თანმხლები კოკისპირული წვიმა ამ ქალაქში მეწყერების მიზეზი გახდა. სამწუხაროდ, მსხვერპლის შესახებ სოციალურ ქსელებში უკვე პირველი ინფორმაციაც გავრცელდა. დაღუპულია, სულ ცოტა, სამი ადამიანი, მათ შორის ახალგაზრდა ქალი და მისი ბავშვი. დაღუპულთა შესახებ ოფიციალური ცნობები ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა ბევრ რეგიონთან კავშირის გაწყვეტის გამო ეს მოსალოდნელიც იყო. სამხრეთ ლეიტეს პროვინციის გუბერნატორმა როჯერ მერკადომ „ტვიტერზე" დაწერა, რომ სოფლებისკენ მიმავალი გზები წაქცეული ხეებით არის ჩახერგილი და ეს სამაშველო სამუშაოებს ართულებს.

აქამდე უძლიერეს ტაიფუნებად მიიჩნეოდნენ „კამილა", რომელმაც 1969 წელს აშშ-ს ატლანტიკის ოკეანის სანაპიროს გადაუარა და „ალენი", რომელიც აშშ-ს, მექსიკას და კარიბის ზღვის კუნძულებს 1980 წელს დაატყდა თავს. მაშინ ქარის სიმძლავრე წამში 84,7 მეტრი იყო. „ჰაიანის" სიმძლავრე კი, რომელიც ფილიპინებზე ბობოქრობს, პერიოდულად, ქარის ძლიერი მობერვისას წამში 105 მეტრს აღწევდა. ცხადია, „ჰაიანს", საფირ-სიმპსონის ქარშხლების შკალის მიხედვით, უმაღლესი - მეხუთე კატეგორია აქვს მინიჭებული.

ტაიფუნის მიახლოებას ფილიპინებზე ელოდებოდნენ და შეძლებისდაგვარად მოემზადნენ. საშიში რაიონებიდან ევაკუირებულია 125 ათას ადამიანზე მეტი, დახურულია სკოლები და სხვა სახელმწიფო დაწესებულებები. გადაიდო 400-ზე მეტი ავიარეისი. ამას გარდა, სტიქიის ზონაში მდებარე აეროპორტებმა ვერ მიიღეს უკვე ჰაერში მყოფი თვითმფრინავების ნაწილი და ისინი სხვაგან დასვეს. თევზსაჭერ გემებს ზღვაში გასვლა აუკრძალეს. შეწყდა საბორნე მიმოსვლაც. ხელისუფლება და მეტეოროლოგები შიშობენ, რომ ტაიფუნი ქვეყანაში ნგრევის და ზარალის თვალსაზრისით კატასტროფულ შედეგებს მოიტანს. ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, ამ რეგიონის ღარიბი მოსახლეობა ვერ აგებს ისეთ სახლებს, რომლებმაც შეიძლება, ასეთ გრიგალებს გაუძლოს. ერთადერთი შეღავათი ის არის, რომ ქარი ძალიან სწრაფად გადაადგილდება და უკვე შაბათს ფილიპინების ტერიტორიას დატოვებს. ტაიფუნი ლაოსისა და ვიეტნამის მხარეს გადაინაცვლებს. შესაბამისად, შეიძლება ფილიპინებზე არ გამოიწვიოს ხანგრძლივი კოკისპირული წვიმები და წყალდიდობა, რაც უმეტესწილად დიდი მსხვერპლის მიზეზი ხდება. ტაიფუნი ქვეყნის სამხრეთ ნაწილს გადაუვლის და დედაქალაქ მანილას არ შეეხება, რომელიც სტიქიის ზონიდან, დაახლოებით, 600 კილომეტრზე მდებარეობს.

წვიმების სეზონი ფილიპინებზე ივნისიდან დეკემბრამდე გრძელდება და ამ პერიოდში ქვეყანას სხვადასხვა სიძლიერის, საშუალოდ, 20 ტაიფუნი გადაუვლის ხოლმე. წელს „ჰაიანი" უკვე ოცდამეხუთეა.

# ტიმოშენკოს საკითხს ოთხშაბათს განიხილავენ

ივა შილაკაძე

უკრაინის ხელისუფლება ექს-პრემიერ იულია ტიმოშენკოს უცხოეთში სამკურნალოდ გაშვებაზე, რაც ქვეყნის ევროკავშირთან დასაახლოებლად მთავარი პირობაა, ჯერ ვერ ჩამოყალიბდა. რადაში ხუთშაბათის პერიპეტიების შესახებ ჩვენ გუშინდელ სტატიაში ვწერდით. ოპოზიციასთან და ევროპარლამენტის მონიტორინგის ჯგუფთან (კოკსი-კვასნევსკის მისია) მოლაპარაკებებში „რეგიონების პარტიის" უსუსურობამ ყველა ზღვარს გადაჭარბა. ოპოზიციის კითხვაზე, თუ როდის იქნებოდნენ მზად საკითხის გადასაწყვეტად - „რეგიონალებმა" მოკლედ და პირდაპირ უპასუხეს - „არ ვიცით". გასაგებად რომ ვთქვათ, მათ ჯერ არ აქვთ მიღებული იანუკოვიჩის ბრძანება და ასე უნიჭოთ გაჰყავთ დრო.

ოპოზიციამ ხუთშაბათსვე შეაგროვა პარლამენტის დეპუტატების საჭირო 151 ხელმოწერა რიგგარეშე სხდომის დასანიშნად. ოპოზიცია თხოულობდა სხდომის დანიშვნას 12 ან 13 ნოემბერს, რადგან 14 ნოემბერს მონიტორინგის მისიამ, ექს-პრეზიდენტების პეტ კოქსისა და ალექსანდრ კვასნევსკის შემადგენლობით, ანგარიში უნდა წარუდგინოს ევროპარლამენტს.

უმაღლესი რადას თავმჯდომარემ ვლადიმირ რიბაკმა დეპუტატების ხელმოწერებს არც დახედა, საინიციატივო ჯგუფს უბრალოდ, მოთხოვნა გამოართვა და განაცხადა, რომ 13 ნოემბერს რიგგარეშე სხდომის დანიშვნის გადაწყვეტილებას ხელს მოაწერს.

გუშინ ევროპარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე პეტ კოკსი და პოლონეთის ექს-პრეზიდენტი ალაქსანდრ კვასნევსკი ხარკოვში ჩავიდნენ და იულია ტიმოშენკო მოინახულეს. მათი შეხვედრა 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა. შემდეგ ევროპარლამენტის მონიტორინგის მისიამ საავადმყოფო ტრადიციულად უკმენტაროდ დატოვა. კვასნევსკი ტიმოშენკოს მომხრეებს მხოლოდ მიესალმა, რომლებიც საავადმყოფოს შესასვლელთან მუდმივად მორიგეობენ. ამ უკანასკნელებმა კორტეჟი გააცილეს შეძახილებით „თავისუფლება იულიას!"

ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომა 18 ნოემბრისთვის არის დანიშნული, სადაც უკრაინასთან ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებების გაფორმებაზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მიიღონ. ეს ხელშეკრულებები 2,5 წელია, მზად არის. უბრალოდ, უკრაინას რამდენიმე პირობა ჰქონდა შესასრულებელი. აქედან მთავარი სწორედ იულია ტიმოშენკოს გაშვებაა. შესაბამისად, ტიმოშენკოს საკითხი უკრაინაში 18 ნოემბრამდე საბოლოოდ უნდა მოგვარდეს, გაშვების ჩათვლით. თუმცა პოლონურმა გაზეთმა „რეჩპოსპოლიტამ" საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით დაწერა, რომ მინისტერიალი, სავარაუდოდ, 18 ნოემბერს „მოქნილობას" გამოიჩენს და გადაწყვეტილებას კიდევ რამდენიმე დღით გადადებს, უშუალოდ ვილნიუსის სამიტამდე, როცა დოკუმენტების გაფორმება უნდა მოხდეს.

ამას გარდა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ევროკავშირშიც სახელმწიფოები სამ ნაწილად არიან გაყოფილები უკრაინის ბედის მიმართ. პოლონეთს, დიდ ბრიტანეთს და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებს უკრაინასთან ზემოხსენებული ხელშეკრულებების გაფორმება ნებისმიერ შემთხვევაში სურთ. გერმანია, ნიდერლანდები და შვედეთი გადაჭრით მოითხოვენ ტიმოშენკოს გათავისუფლებას. ხოლო საფრანგეთს და სამხრეთ ევროპის სახელმწიფოებს მყარად ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვთ და იმ მხარეს გადაიხრებიან, რომელიც თავისი პოზიციის მართებულობას უკეთესად დაასაბუთებს.

# ბიჭი ვაშლით

პირველი გვერდიდან



იგივე ბედი ელის ანდერსონის წლევანდელ ნამუშევარსაც - „გრანდ ოტელი „ბუდაპეშტი“ (უფრო ზუსტად The Grand Budapest Hotel) ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს გახსნის.

კინოფესტივალის პროგრამა ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია, ამიტომ არ არის დადასტურებული, იქნება თუ არა უეს ანდერსონის ფილმი მთავარი კონკურსის მონაწილე. სავარაუდოდ, ასეც მოხდება - როგორც შარშანდელ კანზე: „ამომავალი მთვარის სამეფო“ კონკურსანტებს მოგვიანებით შეუერთდა. ნებისმიერ შემთხვევაში „გრანდ ოტელი „ბუდაპეშტი“ უკვე შეგვიძლია წლის მოვლენად განვიხილოთ, რადგან „ბერლინალეს“ მასშტაბის მქონე ფესტივალები გამხსნელ ფილმს საგულდაგულოდ არჩევენ. ამრიგად უეს ანდერსონის კინოს მოყვარულებს შეგვიძლია მშვიდად ვიძინოთ - წინ ნამდვილად კარგი სანახაობა გველის.

როდესაც ანდერსონის ფილმებზე საუბრობენ, სხვა ღირსებებთან ერთად ქასთსაც ასახელებენ. ზოგ რეჟისორს უყვარს, როდესაც ერთსა და იმავე მსახიობებთან მუშაობს და მათ შორისაა ანდერსონიც, რომელსაც რამდენიმე მსახიობი ფილმიდან ფილმში გადაჰყავს, გზა და გზა კი ახლებსაც ამატებს. ამჯერად მან საკუთარ თავსაც გადააჭარბა, რადგან „გრანდ ოტელ „ბუდაპეშტის“ სამსახიობო ანსამბლი ფაქტობრივად მხოლოდ ცნობილი მსახიობებისგან შედგება: ედუარდ ნორტონი, საორის რონანი, ლეა სეიდუ, ოუენ უილსონი, ბილ მიურეი, რალფ ფაინსი, ჯად ლოუ, უილიამ დეფო, ედრიან ბროდი, ტილდა სუინტონი, ჯეისონ შვარცმანი, ჯეფ გოლდბლუმი, ჰარვი კეიტელი, ტომ უილკინსონი, მიურეი აბრაჰამსი, მატიე ამალრიკი და ა.შ.

ფილმის ტრაილერი რამდენიმე კვირის წინ გამოჩნდა. მისი ნახვის შემდეგ ფილმზე გარკვეული წარმოდგენის შექმნა უკვე შეიძლება: უეს ანდერსონი ჩვეულ ვიზუალურ ესთეტიკას არ ღალატობს, გვთავაზობს მდიდარ, ზოგჯერ ზედმეტად მსუყე და ეპოქისთვის შესაფერის გარემოს. ეპოქა კი გასული საუკუნის 20-იანი წლებისაა, ადგილი - უნგრეთი, კერძოდ დედაქალაქი და მისი საუკეთესო სასტუმრო, რომლის მმართველიც მისტერ გუსტავი გახლავთ.

გუსტავს რალფ ფაინსი თამაშობს, მსახიობი, რომელიც პირველად მოხვდა უეს ანდერსონთან გადასაღებ მოედანზე. ფაინსის პერსონაჟი „ბუდაპეშტის“ ბინადრების სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, მისი მომსახურებით ყველა კმაყოფილია, მაგრამ მოულოდნელად ყველაფერი თავდაყირა დგება: ერთ-ერთ ნომერში მოხუცი ქალბატონის გვამს პოულობენ. მისი ანდერძის გახსნის შემდეგ კი ირკვევა, რომ საკუთარი ქონების ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი ნივთი, ნახატი სახელწოდებით „ბიჭი ვაშლით“ სწორედ მისტერ გუსტავს დაუტოვა. ამ ფაქტთ აღშფოთებული მემკვიდრეები გუსტავის წინააღმდეგ იწყებენ ბრძოლას, შემდეგ საქმეში კრიმინალური სამყარო ერთვება და ასე გრძელდება, ვიდრე მისტერ გუსტავი და მისი ერთგული თანაშემწე ციხესა და ათას უბედურებას არ გადაიტანენ.

უეს ანდერსონს „ბერლინალესთან“ დაკავშირებით უკვე აქვს ჩანაწერი ბიოგრაფიაში: 2002 წელს მისი შესანიშნავი „როიალ ტენენბაუმები“ „ოქროს დათვის“ ნომინანტი გახლდათ, თუმცა იმ წელს გამარჯვება პოლ გრინგრასის „სისხლიანმა კვირადღემ“ და ჰაიაო მიაძაკის ანიმე „სულებით გატაცებულმა“ გაიყვეს. „ოქროს დათვზე“ ანდერსონი 2005 წელსაც იყო ნომინირებული ფილმით „კაპიტან ზისუს წყალქვეშა ცხოვრება“, მაგრამ ამჯერადაც უშედეგოდ.

ბერლინის კინოფესტივალთან დაკავშირებით ინფორმაცია ნელ-ნელა გახდება ცნობილი, თუმცა ფესტივალის დირექცია მცირე ინფორმციას მაინც იმეტებს. მაგალითად, უკვე ცნობილია, რომ გაიმართება 1920 წელს რობერტ ვინეს მიერ გადაღებული კლასიკური უხმო ფილმის, „დოქტორ კალიგარის კაბინეტის“ გაციფრებული ვერსიის სპეციალური ჩვენება. ამ მოვლენას კინოფეტივალის ორგანიზატორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, ამრიგად მაყურებელს მართლაც განსაკუთრებული ჩვენება ელის.

ბერლინის შარშანდელ ფესტივალზე, რომლის მთავარ საკონკურსო ფილმებსაც ვონგ კარ ვაის ხელმძღვანელობით მომუშავე ჟიური აფასებდა, გამარჯვება რუმინელი კალინ პეტერ ნეცერის „ჩვილის პოზამ“ მოიპოვა, რომელიც რუმინეთმა წელს „ოსკარის“ უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვისაც შეარჩია. სავარაუდოდ, ამ ფილმს თბილისის წლევანდელ კინოფესტივალზეც ვნახავთ, რომლის შესახებაც ასევე მცირე ინფორმაცია არსებობს და რომელსაც უახლოეს მომავალში მოგაწვდით.

# გამჭვირვალედ გამურული 90-იანები

## „ინტელექტმა“ ალექსანდრე ლორთქიფანიძის კრებული გამოსცა

ია ვეკუა



ერთი ასეთი მეზობელი ყველას გვყავდა: უგრძეს რიგში მოპოვებული ნესტიანი პურის ყუას რომ გვიტეხდა, ჩასაბარებელ ბოთლებს გვჩუქნიდა, უცხოეთში გადახვეწილი შვილის ფეხსაცმელს გვაცმევდა, უბანში ერთადერთ გენერატორს მულტფილმების სანახავად გვირთავდა და ომში წასული მამების ამბავს გვეკითხებოდა. ჰყავდა სანდროსაც. ჰყავდა სწორედ მაშინ, როდესაც ყველაზე მეტად უნდა ეგრძნო მარტივი სითბო, ვიღაცის გვერდით ყოფნა, წყალწყალა ჩაიში ჩაგდებული შაქრის ნატეხის სიტკბო. სანდროს ჰყავდა, სანდროს ახსოვს და რაც ახსოვს, ყველაფერს ერთ პატარა, „გამჭვირვალე“ წიგნში აქცევს.

როგორც წესი, ჩვენთან ყველა ჟანრის, მნიშვნელობისა თუ მოცულობის წიგნებს მონოტონური და სტანდარტული პრეზენტაციები ახლავს. სცენარი ფაქტობრივად ყველგან ერთია: გამომცემლობის წარმომადგენელი მისასალმებელ სიტყვას ამბობს, შემდეგ ავტორი რამდენიმე მორცხვი ფრაზით გვესალმება, ისმის ბევრი მადლობა, საუკეთესო სურვილები და, უკეთეს შემთხვევაში, ერთჯერად ჭიქების უხმო ჭახუნიც.

ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იყო: ალექსანდრე ლორთქიფანიძის ახალი კრებულის პრეზენტაციისთვის გამომცემლობა „ინტელექტმა“ საიდუმლო ოთახში დამალული დროის მანქანა აამუშავა, თუმცა საწვავი არც ისე ბევრი დაუხარჯავს, რადგან დანიშნულების დრო ჩვენი ახლო წარსული - 90-იანი წლები იყო. პრეზენტაციაზე სწორედ ამ ეპოქის შესაბამისი დრესკოდი მოქმედებდა, სტუმრებს კი თან 90-იანებთან დაკავშირებული ნივთი უნდა მიეტანათ.

იმ დღეს მწერლის სახლი ლამპებიდან და ნავთის წითელი „კერასინკიდან“ ამონაბოლქვი სუნით გაიჟღინთა, გრაფინებში ფხვნილისგან დამზადებული ფორთოხლის წვენი ჩაასხეს, ლანგრებზე ნამცხვარი „სიგუა“ დააწყვეს, კასეტიანი მაგნიტოფონი ჩართეს, ვიდეო ვერ ჩართეს... მოვიდნენ უფორმო ჯემპრებით, მაღალმხრებიანი ტყავისა და ბეწვის საყელოიანი ჯინსის ქურთუკებით, ფანქრით კასეტის ტრიალით, კევების „ნაკლეიკების“ კოლექციებით, მერხის რეზინის რკალისგან გაკეთებული კასტეტებით, კუპონებით, პურის ტალონებით, შევარდნაძეზე საუბრებითა და მხედრიონისგან დატოვებული შიშის ნარჩენებით.

„გამჭვირვალე“ სანდროსთვის მესამე კრებულია, თუ არ ჩავთვლით „ვარდისფერი ავტობუსის“ პერიოდს და კრებულიც ამ პოეტური გაერთიანებისთვის დამახასიათებელი ხმაურით, ღელვით, პროტესტით იხსნება ლექსით „ჰოლოგრამა (პოეტური მანიფესტი თაობას)“. ...და გრძელდება იქამდე, ვიდრე მკითხველი კრებულის მთავარ, სანდროსთვის ყველაზე მთავარ ლექსს არ მიადგება. „დეკაპიტაციის დეკაპტიქი“, რომელსაც ავტორი ბავშვობის საუკეთესო მეგობარ ირაკლი არღვლიანს უძღვნის, პირველად და უკანასკნელად სწორედ „გამჭვირვალეს“ პრეზენტაციის სტუმრებმა მოისმინეს. ამ ლექსს სანდრო ხმამაღლა აღარასდროს წაიკითხავს, მაგრამ ეს აკრძალვა ჩვენზე, მკითხველზე არ ვრცელდება. მეგობრისადმი მიღვნილი ლექსის წაკითხვა კი აუცილებლად მოგინდებათ - ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, რადგან ის ჩვენს მეგობრებსაც ეძღვნებათ და ჩვენც გვეძღვნება, როგორც მეგობრებს.

სწორედ ამ ლექსის გამო აქვს „გამჭვირვალეს“ ასეთი ყდა: 1850 წელს გადაღებული ფოტოშარჟი, რომელზეც მამაკაცის სხეულს ერთ ხელში სისხლიანი დანა უჭირავს, მეორეში - საკუთარი თავი. სანდრო კი ამბობს: „ეს ირონიაა, უფრო თვითირონია ჩემი, როგორც ავტორის გარშემო არსებული იმ სივრცისადმი, რომელშიც „ვმოღვაწეობ“. მე ჩემივე ხელით ვიჭრი თავს და ამ წიგნის სახით მას მკითხველს ვჩუქნი. შეიძლება ეს ზედმეტად პესიმისტურად ჟღერს, მაგრამ სწორედ ასეთია კრებულში თავმოყრილი ლექსების ხასიათიც. ეს იმანაც განაპირობა, რომ ბავშობა 90-იან წლებში გავატარე და ლექსების უმეტესობა იმ დროიდან გამოყოლილი განცდებითაა შთაგონებული. ცხადია, არ მაქვს პრეტენზია, რომ მაშინდელ რეალობას ზუსტად ვეხმიანები - უბრალოდ, ის დრო მე ასე დამამახსოვრდა.“

სანდროს პირად 90-იანებს კი ცხელი ჩაის გემო აქვს. ჰქვია ლუიზა ბებოს სახელიც, რომელსაც დილაობით სანდროსთვის სასწაულით ადუღებული ერთი ჭიქა ცხელი წყალი ამოჰქონდა. „ეს ადამიანი ჩემთვის სასწაული იყო. გარდა იმისა, რომ ცხელი ჩაის დალევის საშუალებას მაძლევდა, თვეში ერთხელ შვილის მიერ უცხოეთიდან გამოგზავნილი ამანათიდანაც მინაწილებდა ძეხვის ნაჭერს ან ტკბილ ორცხობილას. ეს შეგრძნება დღემდე მახსოვს, ლუიზა ბებოს საქციელი, მაშინდელი გაჭირვება, გაუსაძლისი ყოფა კარგად მაქვს გააზრებული და ამიტომაც შევძელი იმ დროიდან გამოსვლა, მისგან განთავისუფლება. თუმცა ჩემს თაობაში იყვნენ ისეთებიც, ვინც მაშინდელი მოგონებები სადღაც დამალა, მიივიწყა, მაგრამ ვერსად გაექცა“.

წიგნის პრეზენტაციამ ჯგუფ „მასკულტურას“ მუსიკის ფონზე ჩაიარა და სანდროს მიერ „ვინმე“ ანა ბერიას ლექსების წაკითხვით დასრულდა. აქ კი დროის მანქანამ მუშაობა შეწყვიტა: შუქი მოვიდა, გამურული ლამფები ჩააქვრეს, სტუმრებმა სმარტფონები ააწკრიალეს, ნავთის სუნის გასანიავებლად ქუჩაში გავიდნენ და შინ მხედრიონისგან დატოვებული შიშისგან თავისუფლები წავიდნენ...

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024285**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 09:36 |
| წინადადებების მიღება იწყება | 24.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 29.11.2013 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 18900 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 31700000-ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური აქსესუარები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 31712200-მიკროსისტემები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 12 |
| მოწოდების ვადა | მიწოდების გრაფიკის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 378 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 189 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024286**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 09:47 |
| წინადადებების მიღება იწყება | 24.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 29.11.2013 13:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 165000 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 30100000-საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 30197630-საბეჭდი ქაღალდი |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 11000000 მეტრი |
| მოწოდების ვადა | მიწოდების გრაფიკის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 2000 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 1650 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024287**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 09:52 |
| წინადადებების მიღება იწყება | 24.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 29.11.2013 14:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 156000 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 3 ც. |
| მოწოდების ვადა | მიწოდების გრაფიკის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 2000 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 1560 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024288**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 09:57 |
| წინადადებების მიღება იწყება | 24.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 29.11.2013 15:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 106500 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 34100000-ავტოსატრანსპორტო საშუალებები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 5 ც. |
| მოწოდების ვადა | მიწოდების გრაფიკის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 1500 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 1065 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024289**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 10:03 |
| წინადადებების მიღება იწყება | 12.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 14.11.2013 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 6500 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 44800000-საღებავები, ლაქები და მასტიკები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 44810000-საღებავები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 1800 კგ. |
| მოწოდების ვადა | მიწოდების გრაფიკის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 130 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 65 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024290**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 10:14 |
| წინადადებების მიღება იწყება | 12.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 14.11.2013 13:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 28200 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 39100000-ავეჯი |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 39100000-ავეჯი, 39112000-სკამები, 39113100-სავარძლები, 39121100-საწერი მაგიდები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 325 |
| მოწოდების ვადა | მიწოდების გრაფიკის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 564 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 282 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024291**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | თბილისის სატრანსპორტო კომპანია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 10:18 |
| წინადადებების მიღება იწყება | 12.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 14.11.2013 15:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 20650 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 39700000-საოჯახო ტექნიკა |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 39711130-მაცივრები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 59 ც. |
| მოწოდების ვადა | მიწოდების გრაფიკის შესაბამისად |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 413 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 207 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024292**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 10:26 |
| წინადადებების მიღება იწყება | 12.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 14.11.2013 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 199020 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 22900000-სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 22900000-სხვადასხვა ნაბეჭდი მასალა |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | 107000 წყვილი |
| მოწოდების ვადა | ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში 2014 წლის 31 დეკემბრამდე. |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 796 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 1990 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

# არაბული ჩამოვიდა, რათა წავიდეს



საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ აღზრდილი ბაჩანა არაბული კარგა ხანია, რაც ესპანურ „ალკორკორნში“ ჩაირიცხა, თუმცა სავიზო პრობლემების გამო ახალგაზრდა ფორვარდი თავისიანებს ჯერჯერობით ვერ ეხმარება. უკვე რამდენი დღეა არაბული თბილისშია, ინდივიდუალურად ვარჯიშობს და დღე-დღეზე თურქეთიდან ვიზას ელის.

ალბათ საინტერესო იქნება თავად ფეხბურთელისგან შევიტყოთ, თუ როგორ შთაბეჭდილებას ტოვებს „ალკორკორნი“, რაზე ამახვილებენ ესპანელები განსაკუთრებულ ყურადღებას და ვისი დაწერილი პროგრამით ვარჯიშობს საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ყოფილი კაპიტანი.

„რამდენიმე დღეა თბილისში ვარ, ვიზას ვადა გაუვიდა და საქართველოში ჩამოვედი. ახლა თურქეთიდან ვიზას ველოდები. ათ დღეში ალბათ ეს საკითხი მოგვარდება და ისევ ესპანეთში დავბრუნდები. ყველაფერი წესრიგშია. იმედია, ეს პრობლემაც მოგვარდება და „ალკორკორნში“ ოფიციალურ მატჩებშიც მივიღებ მონაწილეობას“.

**- ბაჩანა, მოდი, თავიდან დავიწყოთ. გაიხსენეთ ის პერიოდი, როდესაც „ალკორკორნში“ აღმოჩნდით.**

- ესპანურ კლუბამდე რამდენიმე ვარიანტი იყო, თუმცა ყველაზე რეალური სწორედ ამ კლუბში ჩარიცხვა აღმოჩნდა. მე და „საბურთალოს“ გენერალური დირექტორი კახა ჭუმბურიძე წავედით ესპანეთში. იქ გადაწყდა, რომ ნახევარი წლით „ალკორკორნში“ ვითამაშებდი. მერე, თუ ორივე მხარე კმაყოფილი ვიქნებით, გაგრძელდებოდა ხელშეკრულება. კონტრაქტის თანახმად, იანვრამდე „ალკორკორნს“ ვეკუთვნი. შემდეგ ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**- ელოდით ასეთ შეთავაზებას?**

- არ ველოდი. შეიძლება ითქვას, დიდი სიურპრიზი იყო. როცა გავიგე, რომ იყო ამის შესაძლებლობა, ცხადია, ძალიან გამიხარდა. მინდოდა ქვეყნის გარეთ მომესინჯა ძალები.

**- გუნდში როგორ დაგხვდნენ?**

- ძალიან თბილად, კმაყოფილი ვარ. მალე შევეჩვიე იქაურობას. მართალია, ესპანური ენა არ ვიცოდი, მაგრამ ინგლისურად ვსაუბრობ. ამ მხრივ პრობლემა არ შემქმნია. „ალკორკორნი“ ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია. ბუნებრივია, მის ყველა ოფიციალურ მატჩს ვესწრები. თავდაპირველად გუნდმა კარგად დაიწყო, მაგრამ ახლა არ ვართ მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობაში. სატურნირო ცხრილში 22 გუნდიდან მე-17 პოზიციაზე ვართ, რაც გუნდისთვის ცუდი შედეგია. იმედია, მალე ყველაფერი გამოსწორდება და გუნდის წინსვლაში მეც გარკვეულ წვლილს შევიტან.

**- ენობრივი ბარიერი ახსენეთ. ესპანურს არ სწავლობთ?**

- ნელ-ნელა ვეუფლები. საფუძვლიანად სწავლას ალბათ იანვრის შემდეგ გადავწყვეტ. იმედია, კლუბთან ხელშეკრულება გაგრძელდება და ესპანურსაც უკეთ ვისწავლი. თუმცა, ვარჯიშზე მესმის ყველაფერი, რაზეც მთავარი მწვრთნელი საუბრობს.

**- ყველა გუნდს თავისი სტილი აქვს. „ალკორკორნს“ როგორი ხელწერა აქვს?**

- ბურთზე კონტროლს დიდ ყურადღებას აქცევენ, ტექნიკური გუნდია. ბუნებრივია, ფიზიკურ კონდიციებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, ამდენს თუ ირბენდნენ როგორც ვარჯიშებზე, ისე თამაშებზე.

**- ფიზიკური ვარჯიში ხომ არ გაგიჭირდათ?**

- თავიდან გამიჭირდა, მაგრამ მერე ნელ-ნელა დალაგდა ყველაფერი. გუნდს რომ შევუერთდი, მოსამზადებელი პერიოდი არ მქონდა გავლილი. მწვრთნელებმა ეს იცოდნენ. ახლა ვგრძნობ, რომ აშკარად უკეთ ვარ, ფორმაში შევდივარ. სამწვრთნელო შტაბმა პროგრამა გამომატანა და თბილისში ამ პროგრამით ვვარჯიშობ.

**- თქვენ გარდა, კლუბში კიდევ რამდენი ლეგიონერია?**

- ორი ფრანგი. დანარჩენები ესპანელები არიან.

**- წამოსვლისას მწვრთნელებთან ან კლუბის ხელმძღვანელებთან თუ გქონდათ შეხვედრა და რაზე ისაუბრეთ?**

- სხვადასხვა საკითხზე ვისაუბრეთ. მათაც ძალიან უნდათ, რომ ვიზის პრობლემა მალე მოგვარდეს და თამაშის უფლება მქონდეს, სჯერათ ჩემი და მეც ვეცდები, მათი იმედი გავამართლო. ოპტიმისტურად არიან განწყობილნი და იმედი აქვთ, რომ მალე ოფიციალურ მატჩებშიც მივიღებ მონაწილეობას.

გავიცანი კლუბის ერთგული გულშემატკივრები. ძალიან ემოციურები არიან. ყველა თამაშს უამრავი ქომაგი ესწრება. ფეხბურთი ძალიან უყვართ.

**- ესპანეთში ჩასვლისთანავე ადგილობრივები აალაპარაკეთ. გაიხსენეთ „ხეტაფესთან“ ამხანაგური შეხვედრა...**

- საქართველოდან რამდენიმე დღის ჩასული ვიყავი, ჯერ კარგად არც ვიცნობდი კლუბს. „ხეტაფესთან“ ამხანაგური მატჩი გვქონდა. სტუმრები ძირითადი შემადგენლობით იყვნენ. დასაწყისში გამიჭირდა, მაგრამ დაახლოებით პირველი ტაიმის შუაში გავიხსენი. პირველი ნახევარი 3:0 მოვიგეთ. სამივე გოლში შევიტანე წვლილი. კმაყოფილები იყვნენ კლუბის ხელმძღვანელები. მეც გამიხარდა, რომ ყველაფერი კარგად დაიწყო.

**- გუნდი მეჩვიდმეტე ადგილზეა, ბურთების შეფარდება უჩვეულო გაქვთ - 8 გატანილი და 7 მიღებული, რაც, დამეთანხმებით, ძალიან დაბალი მაჩვენებელია. ჩანს, რომ შეტევაში გუნდს უჭირს, თუმცა დაცვაში საიმედოდ გამოიყურება. როგორ ფიქრობთ, რა არის ამ ყველაფრის მიზეზი?**

- მართლაც კარგი დაცვა გვყავს. მოწინავე გუნდებს, რომლებიც გათამაშებას ლიდერობენ, სულ მცირე, 15 ბურთი უკვე გაშვებული აქვთ. რაც შეეხება თავდასხმას, ნამდვილად ცოტა გოლი გვაქვს გატანილი. თითქოს მომენტებს ვქმნით, მაგრამ დამამთავრებელ ფაზაში მოვიკოჭლებთ. არ გვიმართლებს თუ რა ხდება, ვერ გეტყვით. მწვრთნელიც შემტევი ფეხბურთის მიმდევარია, ვერ ვიტყვი, რომ დაცვით ფეხბურთს ვთამაშობთ.

**- თავად ქალაქი როგორია, ალბათ დაათვალიერებდით...**

- მყუდრო ქალაქია მადრიდთან ახლოს, არც ისე პატარა. ნელ-ნელა ვეგუები იქაურობას.

**- როგორ ერთობით, ვისთან მეგობრობთ?**

- რამდენიმე ფეხბურთელს დავუახლოვდი. ხშირად ერთად ვატარებთ დროს. ესეც რომ არ იყოს, ესპანეთში ქართველები მრავლად არიან და რამდენიმე ქართველი გავიცანი.

**- თუ გქონდათ საშუალება, „რეალის“, „ბარსელონას“ ან რომელიმე გრანდის მატჩისთვის ტრიბუნიდან გედევნებინათ თვალი?**

- ახალი ჩასული ვიყავი, როცა „რეალისა“ და „ბილბაოს“ მატჩს დავესწარი. რა თქმა უნდა, განსხვავებული შეგრძნება იყო, მაგრამ განსაკუთრებული არაფერი. უბრალოდ, რაც თვალში მომხვდა, ეს რონალდუ იყო - პორტუგალიელი მაინც განსხვავებულია, მაგარი გიჟია (იცინის).

**- საუბრის ბოლოს, „საბურთალოში“ გატარებულ პერიოდს ალბათ ყოველთვის კარგად გაიხსენებთ...**

- ცხადია! „საბურთალო“ არასდროს დამავიწყდება. მადლიერი ვარ ამ სკოლის, მთლიანად ხელმძღვანელების. რასაც მივაღწევ, სულ „საბურთალოს“ დამსახურება იქნება.



**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024293**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 11:03 |
| წინადადებების მიღება იწყება | 12.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 14.11.2013 13:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 52938 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 79810000-ბეჭდვითი მომსახურებები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში 2014 წლის 31 დეკემბრამდე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 212 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 529 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024296**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 11:40 |
| წინადადებების მიღება იწყება | 12.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 14.11.2013 15:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 851 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გარეშე |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 44100000-სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 44163100-მილები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 10 კალ. დღის ვადაში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 3 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 9 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024295**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 11:39 |
| წინადადებების მიღება იწყება | 24.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 29.11.2013 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 2203 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 32300000-ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 32300000-ტელე- და რადიოსიგნალის მიმღებები და აუდიო- ან ვიდეოგამოსახულების ჩამწერი ან აღწარმოების აპარატურა |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 10 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 22 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130024294**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 08.11.2013 11:32 |
| წინადადებების მიღება იწყება | 12.11.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 14.11.2013 14:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 13551 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 79800000-ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 79810000-ბეჭდვითი მომსახურებები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხილეთ სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში 2014 წლის 31 დეკემბრამდე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 54 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 136 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

## საქართველოს წყალბურთელთა ნაკრები შვეიცარიასთან მოგებით იწყებს

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა პორტუგალიის ქალაქ პორტოში მიმდინარე 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი წარმატებით დაიწყო.

საკვალიფიკაციო რაუნდის ბოლო, მესამე ეტაპზე, G ჯგუფში ქართველმა წყალბურთელებმა პირველი მატჩი შვეიცარიასთან გამართეს და მეტოქე 24:7 ?აამარცხეს.

ქართველებმა მეტოქეს პირველი წუთებიდან აქტიურად შეუტიეს და რვა წუთის განმავლობაში მეტოქეს ექვსი ბურთი გაუტანეს, საკუთარ კარში კი მხოლოდ ორი მიიღეს.

მეორე რვაწუთიანი მონაკვეთიც ასეთივე ანგარიშით დასრულდა. ვლადიმერ ისელიძის გუნდს არც მესამე-მეოთხე პერიოდებში დაუთმია ინიციატივა და ქართველებმა საბოლოოდ 24:7 გაიმარჯვეს. ეროვნული გუნდის შემადგენლობაში განსაკუთრებით იყოჩაღეს კონსტანტინე გეგელაშვილმა და მარინო ფრანიჩევიჩმა, რომლებმაც შვეიცარიელებს 5-5 ბურთი გაუტანეს.

შემდეგ შეხვედრას ქართველი წყალბურთელები 8 ნოემბერს მალტასთან გამართავენ.

ევროპის 16 ქვეყნის წყალბურთელები კონტინენტის 2014 წლის პირველობის ფინალური ეტაპის 6 საგზურის მოსაპოვებლად საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობენ. ორი რაუნდის შემდეგ, საქართველოს 31 ქულა აქვს და მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებს.

**პორტო. 2013 წლის 7 ნოემბერი**
**ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდი**

**საქართველო:** ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა ქენქაძე (2), დამირ ცრეპულია (1), მარკო ელეზი (2), გალაქტიონ ლაითაძე (1), მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი (1), მიხეილ ბაღათურია (1), ზურაბ რურუა (3), კონსტანტინე გეგელაშვილი (5), ტატო ნიკოლეიშვილი (2), მარინო ფრანიჩევიჩი (5), ბექა კაპანაძე. მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი იოვან პოპოვიჩი.

**შვეიცარია:** ფილიპ ფრეი, კევინ მიულერი (1), რიკარდო ლუკატო (2), მარკ ჰერცოგი, ოლივერ ფროჰლი, აზედინ ელ მეჰრეკი (1), ოლივერ გალიასი, შტეფან ველიკოვი (1), ამადეო კასინა (1), პეტარ ბიელაჯაკი (1), მაქსიმ ლემანი, როგერ ფრეი, დომაჯი ოდრლინი.

**G ჯგუფი**

**7 ნოემბერი**
საქართველო - შვეიცარია 24:7
მალტა - ბელარუსი 9:3
პორტუგალია - სლოვაკეთი

**8 ნოემბერი**
შვეიცარია - სლოვაკეთი
საქართველო - მალტა
პორტუგალია - ბელარუსი
სლოვაკეთი - მალტა
საქართველო - ბელარუსი
შვეიცარია - პორტუგალია

**9 ნოემბერი**
შვეიცარია - ბელარუსი
საქართველო - სლოვაკეთი
მალტა - პორტუგალია

**10 ნოემბერი**
შვეიცარია - მალტა
სლოვაკეთი - ბელარუსი
საქართველო - პორტუგალია

# 18-წლამდელებში „შსს-აკადემია" თბილისის ჩემპიონია



თბილისის ჩემპიონი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის გუნდი, რომელმაც ფინალში „აკადემიას" შანსი არ დაუტოვა - 95:61. გიორგი ნიკოლაძის მიერ გაწვრთნილმა შსს-ელებმა დედაქალაქის პირველობა ისე მოიგეს, დიდი წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. „ძალოვნებმა" ტურნირის ყველა მატჩში ისე გაიმარჯვეს, თავისთვის ძალა არ დაუტანებიათ.

თბილისის პირველობაზე შსს-მ „აკადემია" მეორედ დაამარცხა. ეს გუნდები ჯგუფშიც ერთად იყვნენ და ის შეხვედრა „ძალოვნებმა" 75:48 მოიგეს. მას შემდეგ ამ გუნდებმა ყველა მატჩი მოიგეს და ამჯერად ფინალში შეხვდნენ ერთმანეთს.

პირველ მეოთხედში შედარებით თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ მეორე პერიოდიდან „შსს აკადემიამ" დიდი უპირატესობა მოიპოვა და თამაშის ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია.

ჩემპიონების ლიდერი იყო ვილი ისიანი (36 ქულითა და 17 მოხსნით). ის თბილისის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს და ფინალის შემდეგ საგანგებო პრიზით დააჯილდოვეს. პრიზი იყო დაწესებული ტურნირის ბომბარდირისთვის. ის გადაეცა „მაკაბის" ლიდერს მაიზერ რევაზაშვილს (მატჩში საშუალოდ მოგროვებული 49.4 ქულა).

მესამე ადგილისთვის მატჩში „ჰიუნდაიმ" რევაზაშვილის „მაკაბი" 30 ქულის სხვაობით - 95:65 დაამარცხა. „მაკაბის" 65 ქულიდან 54 რევაზაშვილის ანგარიშზე იყო. „ჰიუნდაიში" საუკეთესო შედეგი ნიკა ლომიძემ აჩვენა - 23 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი, 5 ჩაჭრა.

პრიზიორი გუნდები თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ხელმძღვანელებმა დააჯილდოვეს. ჩემპიონებს თასი გადასცა ამ ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტმა, კალათბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტობის ერთ-ერთმა კანდიდატმა მიხეილ გაბრიჩიძემ.

თბილისის პირველობის საუკეთესო ათმა გუნდმა საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატის საგზურები მოიპოვა. ამ ათს დაემატება საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები და რვა გუნდი რეგიონიდან, რომლებიც 14 ნოემბრიდან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ჩაებმებიან.

**18-წლამდელთა თბილისის ჩემპიონატი. საკალათბურთო აკადემია. 7 ნოემბერი**
**ფინალი**

**აკადემია - შსს აკადემია 61:95 (18:25, 8:17, 18:24, 17:29)**

**აკადემია:** თევდორაშვილი (16), დარბაიძე (14), გიორგაძე (14 ქულა, 10 მოხსნა).

**შსს:** ისიანი (36 ქულა, 17 მოხსნა), გუგეშაშვილი (21), ნადარაია (11), გოგალაძე (10).

### მე-3 ადგილისთვის

**მაკაბი - ჰიუნდაი 65:95 (12:20, 11:27, 18:18, 24:30)**

**მაკაბი:** რევაზაშვილი (54 ქულა, 19 მოხსნა), ხოსიტაშვილი (5).

**ჰიუნდაი:** ლომიძე (23 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი, 5 ჩაჭრა), ჩხეიძე (18), გელდიაშვილი (16).

*gbf.ge*

# დღეიდან კანადა, აშშ და სამოა

ბიბა ბურასაშვილი

*ქართული სარაგბო თემი ტესტ-მატჩებზე სწორებას იწყებს - დღეს ბორჯღალოსნები კანადის „ნეკერჩხლის ფოთლებს" „დინამო არენაზე" უმასპინძლებენ (და არა ავჭალის სტადიონზე, როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით). ჩრდილოამერიკელები თბილისს ახალი ზელანდიის მაორების ნაკრებთან წაგებული შეხვედრით ესტუმრნენ და, ასე თუ ისე, გახურებულები არიან. საქართველოს ნაკრები კი ნოემბრის ტესტ-მატჩებისთვის ერთ კვირაა რაც შეიკრა და „შევარდენის" ბაზაზე გაიარა მომზადება. გუშინ მასპიძლებსაც და სტუმრებსაც დღევანდელი დაპირისპირების არენაზე - „დინამო არენაზე" კაპიტნის ვარჯიში ჰქონდათ, რომელსაც ორივე მხრიდან თან ახლდა წინასამატჩო პრესკონფერენციები. საქართველოს ნაკრებმა ახალი სათამაშო ფორმის პრეზენტაციაც მოაწყო.*

„დინამო არენას" საკონფერენციო დარბაზში ჯერ სტუმრებს - კანადელებს უხმეს.

კანადელთა მენეჯერის, გარეთ რისის თქმით, საქართველო ფიზიკურად ძლიერია და მასთან შეხვედრას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

„ტრადიციულ გუნდთან თამაში გველის, რაც თავისთავად მიანიშნებს მის მნიშვნელობაზე. კარგი, ფიზიკურად ძლიერი გუნდი გყავთ, ჩვენ კი ამას ანგარიშს ვუწევთ, - შეხვედრის მნიშვნელობას ხაზს უსვამს კანადის ნაკრების მენეჯერი გარეთ რისი. - ქართველებთან თამაში იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მას სარეიტინგო დატვირთვა აქვს - მსოფლიო რეიტინგში ერთმანეთთან ახლოს ვართ".

მენეჯერის ნათქვამი გაიმეორა გუნდის კაპიტანმა ტაილერ არდრონმაც, რომ საქართველოსთან მატჩს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მისი თანაგუნდელები, რომ კარგი სანახაობის მომსწრენი უნდა გავხდეთ. ბოლოს კი მსოფლიო თასზე გასვლა გვისურვა.

საქართველოს ნაკრები საკონფერენციოში მთავარი მწვრთნელით, მილტონ ჰეიგითა და გუნდის კაპიტნით, ირაკლი მაჩხანელით წარდგა.

„მართალია, კანადელებისგან განსხვავებით, ტესტ-მატჩისთვის ერთი კვირით ადრე შევიკრიბეთ, მაგრამ ამ მოკლე პერიოდშიც ბევრი რამ მოვახერხეთ, - ამბობს ჰეიგი. - ხვალინდელი თამაშს სრულ მზადყოფნაში ვხვდებით. მთავარია, ბიჭებმა მიცემული დავალებები ბოლომდე შეასრულონ. თუ კანადელებს ფიზიკურად გავუძლებთ, წარმატება იქნება.

პროგრამა მინიმუმი კარგი თამაშია, მაქსიმუმი - საუკეთესო თვისებების გამოვლენა".

საქართველოს ნაკრების კაპიტნის, ირაკლი მაჩხანელის თქმით, საქართველოს ნაკრები კარგად მოემზადა. ყველა მონახაზი გაიარა: „ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის საკმაოდ ძლიერ გუნდთან. კანადა ფიზიკურად ძლიერი და სწრაფია. ამ მატჩში გამოჩნდება, რა დონეზე ვართ. შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვართ მომზადებული".

პრესკონფერენციის დასასრულს ბორჯღალოსანთა კაპიტანმა ბრიტანული კომპანიის „ზარქსის" მიერ საგანგებოდ ნოემბრის ტესტ-მატჩებისთვის შეკერილი ფორმა წარმოგვიდგინა, რა თქმა უნდა, სახელმწიფო დროშის ფერებში. მოეწყო კეპების ერთგვარი პრეზენტაციაც.



*100 კეპი, 50 და ახალბედა*

კერძოდ, ვერცხლისფერი არშიით დამშვენებულ წითელ კეპს მიიღებს ის მოთამაშე, რომელიც ნაკრებში პირველად ითამაშებს, ოქროსფერი არშიით გაწყობილ კეპს - ის მოთამაშე, რომელსაც ნაკრებში 50 მატჩი დაუგროვდება, ხოლო მესამე, თეთრ კეპს - 100-ზე მეტ შეხვედრაში ნათამაშები.

საქართველოს ნაკრების კაპიტნის ვარჯიში მრავალმხრივი გამოდგა. რაქსა და დერეფანში კომბინაციების დახვეწაზე იმუშავეს. კანადასთან მატჩის შემდეგ, 16 ნოემბერს, საქართველოსა და აშშ-ის ნაკრების მატჩი რუსთავის სარაგბო სტადიონზე ჩატარდება, 23 ნოემბერს კი ბორჯღალოსნები სამოას ნაკრებს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე უმასპინძლებენ.

კანადასთან და სამოასთან მატჩები 16:30 საათზე დაიწყება, აშშ-ის ნაკრებთან კი - 14:00 საათზე.

ყველა ტესტ-მატჩის ბილეთები „დინამო არენისა" და მიხეილ მესხის სტადიონის სალაროებში გაიყიდება. საქართველოსა და აშშ-ის მატჩის ბილეთების შეძენა ასევე შესაძლებელი იქნება რუსთავის სარაგბო სტადიონზე. ბილეთები გაიყიდება 11:00-დან 18:00 საათამდე.

მატჩის დღეებში - 9, 16 და 23 ნოემბერს ბილეთების გაყიდვა დაიწყება 11:00 საათზე და დასრულდება მატჩის დაწყებამდე. გულშემატკივარს ბილეთების შეძენა ფასდაკლებით შეეძლება ინტერნეტ-პორტალ http://www.hotsale.ge მეშვეობით. ნოემბრის ტესტ-მატჩების ბილეთები 1 და 3 ლარი ეღირება. გამონაკლისია საქართველოსა და აშშ-ის მატჩი, რომელიც 3000 მაყურებლზე გათვლილ რუსთავის სტადიონზე გაიმართება. ბილეთის ფასი კი 3 ლარია.

**საქართველოს ნაკრები:** 15. მერაბ კვირიკაშვილი („ვიენი", საფრანგეთი), 14. ირაკლი მაჩხანელი („არმაზი", თბილისი, კაპ.), 13. დავით კაჭარავა („ენისეი", რუსეთი), 12. მერაბ შარიქაძე („ბურგ-ან-ბრესი", საფრანგეთი), 11. თამაზ მჭედლიძე („ბურგ-ან-ბრესი", საფრანგეთი), 10. ლაშა ხმალაძე („ლელო", თბილისი), 9. გიორგი ბეგაძე („ყოჩები", ბოლნისი); 1. მიხეილ ნარიაშვილი („მონპელიე", საფრანგეთი), 2. შალვა მამუკაშვილი („არმია", თბილისი), 3. დავით ქუბრიაშვილი („სტად ფრანსე", საფრანგეთი), 4. კონსტანტინე მიქაუტაძე („ტულონი", საფრანგეთი), 5. ლევან დათუნაშვილი („ორიაკი", საფრანგეთი), 6. ვიქტორ კოლელიშვილი („ლიონი", საფრანგეთი), 7. მამუკა გორგოძე („მონპელიე", საფრანგეთი), 8. გიორგი ჩხაიძე („ტარბი", საფრანგეთი).

**სათადარიგოები:** 16. სიმონ მაისურაძე („ბანიერი", საფრანგეთი), 17. დავით ხინჩიგაშვილი („რასინგ მეტრო", საფრანგეთი), 18. ლევან ჩილაჩავა („ტულონი", საფრანგეთი), 19. შალვა სუთიაშვილი („მასი", საფრანგეთი), 20. გიორგი თხილაიშვილი („არმია", თბილისი), 21. ვაჟა ხუციშვილი („ხარები", რუსთავი"), 22. თედო ზიბზიბაძე („პერიგო", საფრანგეთი), 23. ბექა წიკლაური („ლოკომოტივი", თბილისი).